

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგია ფილოსოფიური

0169 ულეათა პრებული
100 ტბილი


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 60

2020



მთ. რედაქტორი

ზაჟრ ამილახვაძი

იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-867-0 (60 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ტომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიმყენ ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებისა და გალაკტიოზ ტაბიდის არემინგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეულების „კოლეჯი შასლაშვერის“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვერის“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვერის“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვერის“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ძვევნის ბასაბონად ხბამაბაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონიდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვევნის, არც ერთი კალმოსანს არ ბაუკითხგა.

100-ტომეული... ძვევნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არეგის დაურიატი,
ჯემბერ ლექავას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიან შესვები ყოველ შეპას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შონასიტეპარბის მაგივრ

(გაგრძელება)

პოეტის ლექსების არსი გამოხატულია მხატვრულ იდეებში, და არა გარეგანი ფორმის თვითნებურ კონსტრუქციებში:

*

ზემობდა ბუნება...

და ხარობდა მთაველი —

გაზაფხულის შემოსვლას.

ცას მზის სხივი ემოსა,

როგორც ოქროს კრაველი“.

ა6

*

ყაყაჩოები!

მიდამო რომ გააოცონ,

აქ, კრწანისის ველზე —

ისევ,

ააგიზგიზებენ კოცონს“.



ვაჟა ეგრისელმა თავის პოეზიაში გამოხატა სამ-
შობლოს სული, მისი ყველაზე დამახასიათებელი,
განუმეორებელი თვისებები. მან მთელი სამყარო აა-
ლაპარაკა, აახმაურა. იგი პატრიოტული განწყობის
პოეტი გახლავთ და მთელი არსებით მამულის უა-
ნგარო სამსახურში დგას:

*

„შენსკენ მიპყრობილ დია თვალებში —
ჩამეყინება შენი ცა და შენი ბორცვები.
და —
საქართველოგ!

შენ მოგიკვდები.
გაჩენის დღიდან შენზე მლოცველი“...

ვაჟა ეგრისელის გაზაფხულის ყვავილები და
ნაკადულები ოდენ სინაზისა და მოვარდნილი ვნებე-
ბის განსახიერება როდია. იგი ეროვნული შტრიხე-
ბით იხატება და ეროვნულ ფენომენად აღიქმება.

*

„ისმის ჩურჩული იაიების
და ჩანჩქერების
ცივი ბდავილი.
სიმწვანეს ტირის სივრცეები,
ვითარც ალოქ.




და გაზაფხული ათოვს ყვავილებს —
მამულისათვის დაცემულთა
სასაფლაოებს“.

ამ ლექსში პოეტმა ერთი ამოსუნთქვით გვაგრძნობინა მამულის სიყვარულის მძლეობამდებადის მარადიულობა. პატრიოტული მგზნებარება, სამშობლოს, მამულის სიყვარულის დიადი გრძნობითაა გამორჩეული პოეტის ლექსები: „აახმაურა ტყის სიმშვიდე“, „დავბადებულვარ მაისის თხუთმეტს“, „ცაზე ბრწყინავდა შარავანდედი“, „ალუბლის ტორი“, „სილურჯეს მორცხვად იღიმის ია“, „შენით ვიწყები“, „მოვლენ მერცხლები“ და სხვა.

ვაჟა ეგრისელისათვის პოეზია სტიქიაა, სიმღრა, სულის ქნარი, შთაგონება, რამეთუ ჭეშმარიტებაა „გაიკეთე ახალი ქნარი! შენი ახალი სიმღერანი ახალ ქნარს საჭიროებენ! განიკურნე სული შენი ახალი სიმღერებით (ფრ.ნიცშე) ასე იტყოდა ზარატუსტრა.

დაუკვირდით რა შთამბეჭდავად დაუხატავს პოეტს უძველესი კოლხური ეზო გაზაფხულზე. რა ძალუმად დარღვეულ ლექსში გაზაფხულის, სილამაზის მონატრება, რომელიც აკაციის იალქანის მეტაფორულ სახეში აღიქმება:





*

„ალექსანდრე და ატემის ყვავილს
ჩამოცვენილს —
ბაღში ბლომად.
ქარი სადღაც მიაქანებს —
ჩემი ეზო მოჰგავს ხომალდს
აკაციის —
იალქანით.“

მართლაცდა, რა გრძნეულობითად ჩატეული გა-
ზაფხულის ძლევამოსილება ამ მცირე მოცულობის
ლექსში. ეს ლექსი გასაოცარი ფერწერული სურა-
თია მშობლიური ეზოს მხატვრული წარმოჩენის
თვალსაზრისით.

პოეტს უყვარს თვალწარმტაცი, ხავერდოვანი
ფარჩეულით მორთული გაზაფხული... პოეტის სული
გაზაფხულის მზის სხივებივით უხვია და შუქმოელ-
ვარე...

ბუნების წიაღში, ყაყაჩოებისა და გვირილების
სურნელით გაბრუებული პოეტი გულის სისხლით
წერს შთამბეჭდავ სტრიქონებს:

*

„კისრისტებით ჩამორბოდა მთიდან ბილიკი,
წვიმდა,
წვეთავდა მზე და სიმწვანე —
ვაჟას დვიდან,
ვაჟას დეკიდან.



არაგვი იწვა მთის აკვანში, როგორც ენება,
და ცისარტყელა ცაზე ეკიდა —
შვიდფურად გადაჭრილი ვენებით!“

გაზაფხულის ყვავილები, ბალახი- ბუჩქი, თითო-
ეული ღერო აქცია პოეტმა ინტერესის საგნად. ქარი
და ფოთლები საოცარი ძალით აათროვლებს პოე-
ტის სულს:

*

„ჩამოქურუხდა ცის სიმყუდროვე,
ღრუბელს გაუწყდა ძაფი
მოთმენის
და სივრცეს მეხი სტყორცნა
ტიალი.

ქარმაც კუთხეში
მოიმწყვდია რემა ფოთლების,
თითისტარივით მერე უცებ დაატრიალა“.

ვაჟა ეგრისელი გვაზიარებს ადამიანური ფიქრის
უსაბანო შესაძლებლობებს. პოეტურ ენაზე მიგვახ-
ვედრებს საიდუმლოებით მოცელ, თვალშეუდგამ
ქვეყნიერებას, რაც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს
მიწიერი ყოფის მთელ შინაარსზე. ნათელზიარებული
მგოსანი ადამიერთა არსებობას ალამაზებს, აბრწყი-
ნებს ლამაზ აზრებს და იდეებს:



*

„ცის სამრეკლოში შემდგარი დამე,
ისევ არისხებს
მნათობთა ზარებს,

ადსავლით ცისკრის ირწევა ანძა
და ისმის ლოცვა:

— ქოგუალე ღორონთ

სქან ოროს!

ცისკენ მზირალი დიდი ცაცხევი მიაგავს ტაძარს
და მკვდრებს უგალობს

„სულთათანას“

ჩიტების ქორო“.

ჭეშმარიტებაა ის, რომ აბსტრაქტულმა ხილვებმა პევრი შემოქმედის ენერგია დაფანტა თავის ქმნილებებში. ლექსი „ატმის ხე“ გვაწვდის პოეტური ენერგიის მიმართულებას, როდესაც პოეტი თავის თავში გრძნობს ამ სიტყვების იდუმალ შინაარსს და ამით გვიდასტურებს ახალი პოეტური ფენომენის არსებობას და გვაგსებს მამულის სიყვარულის, სიცოცხლისა და სათხოების ძალმოსილების დიადი შეგრძნებით:

*

„სამამულე რქა ქართული ვაზის —
ლოცვად მიჰყვება
ზეცისკენ ხარდანს,



წყარო სიცოცხლედ აქაც უვლის.
და ჩემი ბაღის

შესასვლელ კართან,
პვლავ დგას ატმის ხე —
უვავილების
დაქანცული“.

პოეტის ქმნილებებში უვავილები რომანტიკული
იდეალებია, რაც დედის მოგონების სევდას უმძაფ-
რებს:

*

„შორს

ქარები ყაჩაღები,
ქალწულ ხეებს ატიტვლებენ,
აქ კი კოცონს აჩაღებენ
მიხაკები და ტიტები.
ცას ახველებს და მიზეზობს,
წუხს კამა და ანისული,
დედა არ ჩანს...
ოხრავს ეზო,
დედის ფიქრით დანისლული“.

ჩემი დრმა რწმენით, ეს ტკივილიანი გულის
მწუხარე მონოლოგია, მაგრამ ტკივილიან გულს ენუ-
ბეჭება მიხაკებით და ტიტებით აბრიალებული კო-



ცონი, როგორც სიმბოლო მშობელი დედის მარადიული სიცოცხლისა.

ვაჟა გერისელის პოეზიის განსაკუთრებულობა, მხატვრულ სახეების თავისთავადობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეტის მიერ დახატული ბუნება, გაზაფხული და გაზაფხულის ყვავილები რომანტიკულ-სიმბოლისტური ტრადიციების გათავისების ჭეშმარიტი ნიმუშია, რომელიც ეროვნული წიაღის მასაზრდოებელი წვენით საზრდოობს. იგი ის პოეტია, რომელმაც თავის შემოქმედებაში მთელი გულწრფელობითა და სისავსით გამოხატა აწმყო, წარსული და მომავალი. მას დრმად აქვს გაცნობიერებული, რომ მზე ხელოვანში უნდა იყოს. რომ პოეტი თავად მზეა, რომელიც ყველას ათბობს და დიადი აზრებით აბრწყინებს. პოეტის ლექსებში მშვენიერება, სიკეთე, აღფრთოვანება, სიწმინდე, იდუმალება და თავისუფლება ერთობაში მჯდავნდება — ამ ერთიან ასოციაციაში იყრის თავს, როგორც გაზაფხულის მაუწყებელ ატმისა და ალუჩის კვირტებში. მისი საკვები, სასიცოცხლო წვენი პოეზიაა. პოეზია ამ სიტყვის თამამი და გაბედული, მართალი გაგებით:

*

„მზედ რომ ავვარდე მამადავითზე —
მომივლის ჟინი,
ვითარც იაშვილს;



რადგან დღე და ღამ —
იღუმალი
ხმათა ფარჩებით,
ვიღაც მექახის გეჰენიაში...
მე არსად წავალ...
მე აქ მინდა...
მე აქ დავრჩები“ —

ამბობს პოეტი და ძალდაუტანებლად ამკვიდრებს მამულის, სამშობლო ქვეყნის სილამაზეს ჩვენს არსებაში, რამეთუ თვითონ მთელი არსებით ამ სილამაზით გულანთებული ყველაზე უფრო მძაფრად განიცდის მას. პოეტის შემოქმედება ესაა სიცოცხლის სამსახური, სიცოცხლის, სილამაზის გადასარჩენად. ზრუნვა ეროვნულ მეობაზე, ზრუნვა ადამიანის თავისუფლებაზე, მის ნათელ და უღრუბლო მომავალზე. ამიტომაც:

*

„ვით უბადრუქი ქამთა დინება,
წარმავალია
ქვეყნად ყოველი
და დრო არ გვრჩება
საკუთარი
ბედის გლოვისთვის
მაგრამ... მე



მტკვრისპირ ვიდგები,
ვით სვეტიცხოველი,
ქართულ მიწიდან ფეხს ვერ მოვიცვლი“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიას იშვიათი თვისება გამოარჩევს, იგი ისეთივე უშეუალოა, როგორც ბუნება, რომელიც უშეუალოდ აღქმულ რეალობას უმდერის და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პოეტი მთელი არსებით მხოლოდ ქართული სინამდვილის წარსულით, აწმყოთი და მყოფადით ცოცხლობს და სულდგმულობს. მხოლოდ შეიძლება ყოველგვარ მიწიერში ზეციური შევიგრძნოთ, რეალურში სასწაული და ფანტაზია ვიხილოთ. პოეტი გაზაფხულის მოვლინებით გრძნობს ხასიათს, ინდივიდუალურ თვისებებს და ამიტომაც აღფრთოვანებული ამბობს:

*

„მოვა აპრილი...

ცა გაზაფხულის,
მხერებზე გადიყრის ცისარტყელას
ფერად ნაწინავებს.
ავლენ დღეები ხეებზე და ფოთლებს ამწვანებენ...
სიცილის ჩქერით
მზე პირს იბანს და...
წვიმას უსველდება წამწამები“.

ას:



*

„გადგიძებულ ტოტებზე —
ჩუქურთმიან ბუდეებს
სიმღერებით იწნავენ.

და პაწია ნარჩიტებს,
ბეღურებსა და წიწკანებს —
ნისკარტებზე პკიდიათ გაზაფხულის სიმწვანე“.

ახ კიდევ:

*

„მზით და ბალახით შემოღობილი,
შემოფარგლული ფრთითა და კუდით.
ღარიბ და...
ციცქა გლეხის ქოხივით —
პკიდია სეზე ბეღურას ბუდე,
და შიგ აპრილის მზით დაჭორფლილი —
სამიოდ კვერცხი განძივით უდევს,
საწყალ ბეღურას“.

პოეტი გაბედული და მართალი პოეზიით დაუფარავად გვიმჟღავნებს ფარულ და თავჩენილ პოტენციას, პოეტური ინტონაციების ხვეულებში იკითხება არა მარტო პოეტის სულიერი მდგომარეობა, არამედ სულის მდგრადობა. პოეტს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი მემკვიდრეა უსაზღვროდ მდიდარი სულიერი კულტურისა და დიდი წინაპრების მხრებით მოტანილი ეს სიმდიდრე წყაროსავით კვებავს მის ფეხვებსაც;



დიახ, „ეგრისელის პოეზია – ზღაპრული ფენიქ-სივით, დიდ წინაპართა ფერფლად ქცეული და მი-ვიწყებული სულის საგალობელიდანაა აღმდგარი“...

„ვაჟა ეგრისელის ლექსები ერთობლიობაში სა-ქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე და-წერილი პიმნია, ერთ ძარღვზე ასხმული ეროვნული გიგანტური პოემაა. აზრით და ფიქრით ნაშენები ცი-ხე-სიმაგრეა და მას ჟამთასვლა ვერას დააკლებს“.

„გვაქვს უთვალავი ფერითა“ – ამბობს შოთა რუსთაველი და ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადა-გება ვაჟა ეგრისელის მრავალფეროვან შემოქმედე-ბას, რომელშიც მთელი სამყარო სუფექს და მას აძლევს ღვთაებრივ ძალას და მიმზიდველობას“.

და მაინც, უპირველეს ყოვლისა პოეტი ბუნების მოწაფეა. ბუნების აჭრელებული და მრავალფეროვა-ნი სურათი მისი შემოქმედების წყაროსთვალია, ის, როგორც ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი და დიდოს-ტატი, არავის არ ჰგავს, მაგრამ ყველა დიდ შემოქ-მედთან სულიერი და ხორციელი ნათესაობა აკავში-რებს:

*

„აზაფხულზე შენი მთები
ყვავილების გიფენს ნოხებს...
და შენ გრგვინავ არაგვივით,
რაც დრო გადის, ხმას იბოხებ.
ასპარეზად მთა არ გყოფნის,



რადგან ლექსის ზვავად მოხველ,
თვალხილული წუთისოფლის,
— თვალდათხრილო მეამბოხევ“.
(„ვაჟა ფშაველას“)

პოეტს ასედდდგმულებს და შთააგონებს ქართული სული. მშობლიური საქართველოს გაზაფხული. მისი მზე და მთვარე, მისი ვარსკვლავები აცოცხლებს და მშობლიური მიწის სიღიადით აღფრთოვანებული ამბობს:

*

„ათასწლეულთა ბარე ორიდან,
მე მას ვუმდერი,
იციო ვინც არი,
ვისი სიცოცხლის მე ვარ მსურველი.
ვინც არის ჩემი დასაფიცარი,
ვისიც მწვავს ტრფობა
განუკურნელი“.

ადამიანის სულის უძვდავებას, ადამიანის ფიქრსა და რწმენას ეძღვნება ლექსი „გაზაფხული“.

*

„გაზაფხულია
და ალუწები
პონტოს ნაპირზე თეთრ აფრიან პგვანან



ხომალდებს —

ლაზების და ჰენიოხების,
ხოლო ფაზისთან პატარა ბორცვი —
აკაღემის მოჩანს კათედრად.
სხვა არაფერი...

არც სასრული და არც საწყისი
ტალღა ჩურჩულებს: ეჲ, კოლხეთი
რამ გაათეთრა?

ნაპირი ტირის: ალბათ დარდმა ოქროს საწმი-
სის“.

აქ, ამ ლექსში, დიდი ხნის დაგუბებული ნალ-
ვლიანი კითხვაცაა და წუხილიც კოლხეთის დიდე-
ბული წარსულის გამო. ვაჟა ეგრისელის ლექსი
გზას გვიკვალავს ხილულ განზომილებაში უშუალო
ფაქტების მოშველიებით, მართლაც, მხოლოდ ძალზე
ღრმა და ძლიერ სულს ძალუშს გამოთქვას ის, რა-
საც ფიქრობს და განიცდის, მხოლოდ მას, ვისაც
გულით უყვარს სამშობლო, ხალხი, ერი და საზოგა-
დოება, ხელეწიფება ატაროს თავის წიაღში წარსუ-
ლი ეპოქები და სწყუროდეს ახალი და დიადი:

*

„კიდევ ცოტა და...
მოვა აპრილი
და ჩემი კოლხეთის ცაზე
ულურჯესს —



დაიხურავენ თავშალს იები.
ამოაფრენენ ბუდეებიდან —
მწუხერის გალობას
მაფშალიები“.

ან:

*

„კრწანისისა და ორთაჭალის მზიან ბაღებში
ისევ ჰყვავიან
თეორი ნუშები
და გარდასულთა
სევდიანი ქრიან ქარები...
თბილისის,
ცეცხლით დამწვარო ქარებთან,
მზის თაიგულით დგება დილა
და... იშმუშნება“.

პოეტმა იწამა საკუთარი ძალმოსილება, იწამა
იმ რწმენით გოლიათ მთებს რომ ძრავს ხოლმე, მისი
შემოქმედების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ჭეშმარიტად
ჰარმონიულ, დრმა და ვრცელ სამყაროსთან:

*

„საუკუნეთა ნაპირს ასკდება
და ჩვენს ბობოქარ მკერდზე
ხმიანებს.
ზვირთთა კი არა,
ფიქრთა ზვინები



ქარს მინდობილი ვარ ოკეანე,
თვალებში დედამიწა –
ჩამშტერებია დაუინებით“.

რა დიდი პოეტური ენერგიით არის დატვირთული ეს სტრიქონები, რა დიდი ძალისხმევაა, გვეჩვენება, რომ მხოლოდ ასე ვაჟა ეგრისელს შეუძლია თქვას!

*

„ზაფხულ და ზამთარ,
შინ და გარეთ,
ყველგან და მუდამ:
მე საქართველოს ცა მახურავს –
ნამუსის ქუდად!“

ან:

*

„გალობათა ციხე-კოშკი ავაშენე,
გოქვი: მის მცველებს
მეც ვიპოვნი.

რომ დამპყრობელ უამს ებრძოლოს, ვითა ყეენს.
და... ზღვა

ზეირთთა მეციხოვნით,
ჩემი წიგნის ქონგურებზე დავაყენე!“

პოეტი ღრმა შინაგანი სიხარულით გრძნობს ხელოვნების, პოეზიის ძლევამოსილებას, მის პოეტურ ხილვებს უნიკალურ მხატვრულ ფანტაზიაში აქვს ფესვები გადგმული და უდიდესი რუდუნებით ქმნის დიად წიგნს — ცხოვრების წიგნს. სამშობლო ქვეყ-



ნის დიადი მომავლის რწმენითა და სასოებით აღვხილი შთაგონებით ამბობს:

*

„იმედის ქვით... და

უზარმაზარ რწმენის
ლოდებით,

ვითარცა მცხეთა, მეც ამიგია –

ჩემი სამშობლოს მომავალი,

აწმყო,

წარსული.

ჩემი სიცოცხლე –

დიდი წიგნია –

დღისა და ღამის ყდაში ჩასმული“.

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა

აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახულის და ფანტაზია

(ფიქრები ვაჟა გვრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ამოუღამდა თვალები ლოდინს
და უშენობას

წუხს არემარე,

მოდი, ო, მოდი

იასამნის თეთრი ფეხებით.

მხოლოდ,

სევდიან მოგონებებს

სულში მთვლემარეს,

გთხოვ, გავედრება,

ნუ შეეხები.

1971

სიჩუმეს მძევლად დავუტოვე ოდა
 ფიცრული,
 საგზლად ვიკმარე თაგორი და
 ბრძენი ოვიდი.
 და შენთან, როგორც მმადშეფიცული,
 ზღვაო, მოვედი,
 შენზე ძლიერს ვის ვიპოვიდი.
 მზისებრ დაგყურებ მაღალ მიზნიდან,
 ვპოცნი შენს ტალღებს,
 ვით მშობლიურ მიწააყალოს,
 შენც მიწასავით გულში მიკრავ,
 შენსკენ მიზიდავ,
 უსაზღვროება და სიცოცხლე რომ
 შემაყვარო.

1965

გოლგოთი

მანდარინის და ფორთოხლის

შუქი ჩამდგარა

ლურჯად გარდაცვლილ ჭაობების

ღია თვალებში;

და წუხს წარსულში: მალარია,

კოდო, ციება. მადლობა უფალს!

გვიან, მაგრამ

მაინც მოგვხედა.

მამულზე დარდით გათეთრებულ

აკაციებით –

გათენებულა ჩემი კოლხეთი.

1958



დამის ჭიშკართან,
აყევებულ შარაზე სოფლის,
სარკის პატარა ნატეხივით აგდია გუბე,
შიგ ფეხშიშველი გოგო-ბიჭის
თამაშობს ღიმი –

როცა იქლვებს,
როცა მეხი გასძახებს
ღრუბლებს
ზაფხულის მოსვლას
ზარებით...
წერილი.

1972



სიცოცხლის მწვანე ბილიკს მივყვები
მოწყენილი და ფეხშიშველი
ვაჟას ქუჩივით,
და ნადვლიანად შედამებას
სტვენენ შაშვები.
მე კი დროდადრო ჩემს მშვენიერ
ბედს თუ ვუჩივი,
მისი ბრალია,
რად მემალვის,
ასე რატომ მეთამაშება.

1968



1941 წელი

ასჯერ ვახსენე,
ასჯერ დავთვალე,
ვინც წავიდა და ვეღარ დაბრუნდა,
და ოცდაათი წელი გავიდა...
ვინც დამავიწყდა –
მათი სსოფნა კვლავ მითვალთვალებს
ციფი სანგრიდან
და წარსულის ჭუჭრუტანიდან.

1971



დამეა. ისევ ზღვასთან გახსენე,
და მთვარის შუქზე
 ნაზად გავხსენი
მოგონებებით სავსე ლუსკუმა:
შენი სხეული ზღვად ამობრწყინდა,
 როგორც ტიარა,
და სული წამით მას ეზიარა,
მერე ყოველი
დავიწყების შთანთქა
 უფსკრულმა.

1957



ဝါဒမြတ်စွာ

မုန်းကျော် မတွေ့ရတဲ့ နှင့် ဘရာပို့ဆောင်ရွက်ခဲ့တဲ့
မိမိမူးမှု မမှုအား မမှု

နှင့် မိမိမူးမှု မမှု၊
မိမိမူးမှု မိမိမူးမှု၊
မိမိမူးမှု၊

ဒုတိယမာရ်...

မာရွှေမှု တာရောဂါး

ဗုဒ္ဓရာန် ပြုပြုမှု
နှင့် မိမိမူးမှု၊
မိမိမူးမှု မိမိမူးမှု ဗုဒ္ဓရာန် ပြုပြုမှု.

1968



რზნის ციხესიმან

მომხდეულო თავები პანტა ვაშლივით
თურმე ცვიოდა

ციხიდან და აკროპოლიდან, –

ქვა დახვედრია აქ, როდესაც სეტყვა
მოვიდა.

მითრიდატეს თუ აიეტის შტოზე ნამყენი –

კოლხეთის წარსულს მიღამპრებიან.

ჩვენ აქ მტვერი რომ

გავაღვიძეთ და ავაყენეთ,

მტვერი კი არა, მამულისთვის –

მტვრად ქცეული წინაპრებია.

1967



სამშობლოს მთხვე

ღამის ამღვრეულ ოკეანეში
გარსკვლავების ცისფერ დინებას
ეფარფატება ჩემი ლანდი,
ვითარცა დალდა.

ჩემს ქართულ ცაზე
ბუმბერაზ მთებს შეუდგამო მხრები
და ეწევიან მაღლა,
სულ მაღლა...

1984



ფიქრები დამით უფრო ღრმავდება,
კივის სიშორე: –

სიყვარულის

“შეიძ მახვილი!”

და დავიწყების შმაგ ქარებთან ქროლვას
მოქმდი.

გათენების ქამს,
ვით სინათლის

შორი ძახილი,

შენ გამოკრთები ჩემს მოწყენილ
სიმარტოვეში.

1967



ჩემი რწმენა

სულ უმიზეზოდ და სულ უბრალოდ
ბევრჯერ სიმაღლე –
უქციეს სისქედ,
ქვამარილივით ჩემი რწმენა
ბევრჯერ დანაყეს
და მაინც მუდამ მიიწევს
ცისკენ –
ბუხრიდან ამოსულ კვამლივით ამაყო.

1968



სულთათანათი

დაბოლოს, უამმა ერთად ჩაკრიფა
დამის წყვდიადში:

ქსელის მბეჭველი

და მტერთა ძვლებზე ხმლების მლესავი,
მათ ციხე-კოშკთა დაცამლეწველი.

ახლა დაღლილებს

შუბლშეკრული მთვარე დაპნათით
და შორეული ხმები

ამშვიდებთ

ხსოვნის ტაძრიდან მოფრენილი

სულთათანათი.

1984



შენი სინათლის დგება უკუნი

და სიახლოვეს

კივის სიშორე.

მხრებზე გაყრია ვარსკვლავების დამე –

ქვიშორი

და ცისქვეშეთში სილამაზეს სწეხარ

ნინველი,

ასე ჭკვიანი,

ასე კარგი,

და საპვირველი,

არსად არ იყავ,

ეს მე თვითონ გამოგიგონე.

1966



მზემ ჩაიმუხლა...
ნეპტუნივით დელვას ვიუნჯებ,
ზღვის იალაღზე ქარიშხალი ვერძებს
მოდენის,
რომლებმაც შორი გზები
გათელეს
და მიუვალი ციხეები ლეწეს რიფების,
ბოლოს ჩვენსავით,
მათი მძლავრი სმათა
ნათელი
მარადისობის სიჩუმეში ჩაიკრიფება.

1967



მიმოწერა საყდარი

ცად არ წასულან,
 გალავანთან ყრია ლოცვები,
 საკურთხეველთან
 მლოცველივით ჩურჩულებს
 ქარი.
 სალიტანიოდ აღარ მოჰქრის
 მწუხრის კარეტა,
 და დვთის ცრემლივით
 პკიდია ზარი,
 გადავიწყებულ საყდრის კარებთან.

1986

შენი ღუმილი

იასამნების ლურჯი გალობა

მთვარეულ გზებით

მიედინება...

შენ შორს ხარ,

გულმა სიახლოვე პვლავ დაიჟინა,

და სიყვარულის

მაღალ ციდან შენი დუმილი

ჩემთან ჩამოდის

მნათობების

ფერმკრთალ ყიჟინად.

1967



მთები ქარიშხლის

ჭიშკრებს კეტავენ

და არ უშვებენ საბალახოდ

დრუბლების ჯოგებს,

ხოლო ჩემს დღეებს

მიაქვთ ზღვების

ვეება ღელვა

გახეხილი აქვთ ხარივით ქედი.

უხარია და...

ვხედავ ისევ ყასიდად მწყევლის

ჩემი კეთილი

და ღმერთივით მოწყალე ბედი.

1963



გლოგის მეზვე

ვარდ-ყვავილებით გადახურული
მცირე ბორცვები
სიჩუმეში დგანან ქოხივით.
უსინათლოებს, დამის ფსკერზე
ნათელს მზე უფენს.
და ...ქამს ცისკრისას,
მწუხარე და წელში მოხრილი
სასაფლაოზე დაბრძანდება გლოგის
მეუფე.

1961



იდუმალების შორეული
რეპენ ზარები და მიღვიძებენ
მძინარ ჭრილობებს.

ფიქრები დღეებს
აზანზარებენ
და სივრცეებში ფრთებს შლიან და
კპლაკ ყვავილობენ.
მიხმობენ მთები:

წყურვილი გალავს
და ვიტანჯებით;
ტირიან ზღვები: ჩვენ კი დელვა
გვახრჩობს რა რჯული...
შველა არ ძალმის,
მე ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭვებით
საქართველოს ცას ვარ მიჯაჭვული.

1970

მოთმინების ცივ ურემზე შებმულს,
უბედობა, წუხილი და ოხვრა,
ლომურ ქედზე უღელივით მედგა,
და დღეს, როგორც დაკარგულმა ძროხამ,
ჩემს კარებზეც მოაბლავლა
ბედმა.

1974



ლექსის კაცი

თავსასთუმალთან
 ვეფხის წიგნი ესვენა ხატად,
 ამბავი ამბავს მიჰყვებოდა
 ცრემლთა მთხეველი,
 ნათელმა ბავშვმა იგრძნო გრძნეულ
 სტრიქონზე ჯგარცმა
 და ლოცვად დადგა
 ქართულ სიტყვის
 საკურთხეველთან,
 მერე ამაღლდა, –
 იქცა დმერთად...
 და ლექსის კაცად.

1971



სიმყუდროვეში სძინავთ უფსკრულებს, –
ზღვის ამბორით და

ბნელით გალეშილთ,
და მწვერვალები რომ სჩანს შორიდან,
თითქოს ქათქათა აფრიანი
არის ანძები, – შორს,

დავიწყების ოკეანეში
მშვიდად მიმავალ საუკუნეთა.

1969



ქარებს გადმოაქვთ წარსულიდან
ცივი ციაგით:
მეგრელი დედის შეცხადება...
ცხენით თქარუნი...
ბავშვის ტირილი...
შუბლშეკრული მთვარე –
კეთილი...
ანძების რწევა...
თურქთათართა ხმები ტიალი...
მიწის მკერდიდან თავაწყვეტილი
ლაშდაღრენილი ზღვა – ზვირთების
ჯაჭვის ზრიალი...

1970



სადღაც უჩემოდ მიდის შენი გზა
და დარდის ქოხის

ჭუჭრუტანიდან
ხელდაკრეფილი, მოწყენით ვუმზერ,
ცვიგა დღეები მკვახე და მწიფე.
და ნაიარევ პატარა გულზე
მოგონებების მწვანე ფოთლებს
ვიფენ და ვიფენ.

1969



ხსოვნის სანთლებით

ჩემი კითარა დაობლდება
სამარადისოდ,
ქარებს გაყვება –
დღენი ჩემი, როგორც ტიარა,
წუთისოფელი, როს ამიკრავს
ნაბადს და გუდას
და დაგიკარგება...
მაშინ, ძმებო!
სხვაგან კი არა,
ხსოვნის სანთლებით –
ჩემს თბილისში მეძებეთ მუდამ.

1979



ვეღარ დავლაშქრე ჩემი დღეები,
ვეღარ ავანთე ოქროსფერი
ჩემი სანათი –
შენს დიდ ტაძარში,
წმიდა მამაო!
და ნათლითმოსილს
შორეული
სულთათანათი,
ვინ მხმობს ამაოდ?!

1972



ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ

միանալու հայոց
և սովորելու
լուրջո գալունոտ,
ամ յշանակը բռնվեսաց զո՞մը,
մանու տշալցէ՞մո,
րոգորու սոնատլյ,
գարդացալցէնու
գարդացալցէնու
մեղքունակունու.

1978



ენერქარი

ვძერწე და...

თიხა გავაუკვდავე,
ყელზე დავკიდე მზეთა რგოლები
და ხეს ნათლისას

ჩამოვთალე
ღამის მერქანი,
ეს მე ვაქციე
“სიტყვა სოლებად”,
მე ვარ მზის შვილი –
ენმერქარი.

1976



დღიდან გაჩვენის

გაჩენის დღიდან,
დღიდან გაჩენის,
ჩემი სიცოცხლის, ჩემი სიკვდილის,
აღარ იქნა და
არ წყდება დავა.
აქვთ – სიცოცხლე...
იქით – სიკვდილი...
მე – შუაში ვდგავარ...

1988



“ჩემს სულს აწვიმს”... და

სულ ერთი წუთით

ვერლენი, –

ზღვათა წუხილის გაღმა,

ჩემსკენ მომავალ დღეთა გემებს

სევდით დატვირთავს...

და აი, ახლა, –

“სულს აწვიმს” და... წარსულის ტალღა

ჩემს სიმარტოვეს ეფერება

დამის ნაპირთან.

1968



ორი არაგვი

ზვავების მჯიდებს
უფსკრულები მკერდზე იცემენ...

კოპალას ქვასთან,
სიბნელეში, უცებ იალებს
დევების ეშვი...

მძიმე ლახტი
და სატევარი...

და ქამს თეთრი და შავი არაგვი
შეუბამს მთების უდელში და როგორც
ყევარი,

ლეგენდის ურემს
ბარისაკენ მიაჭრიალებს...

1967

შაშვის სიკვდილი

სიცოცხლის ბაღში

მიმწუხრამდე მზე იგალობა

და სიმღერებით სავსე სული

როცა დაცალა,

სურომორეულ წიფელაზე ჩამოიძინა,

მაგრამ უცრად ესმა ძილში

თოფის ძახილი, შეკრთა...

თვალები ერთი წამით

კვლავ გაახილა,

რათა იმწამსვე დაეხუჭია სამარადისოდ.

1968



შუამთაში

ამოენთება ხსოვნის ზღვიდან
“ქართლის ცხოვრება”.

ისმის ყიჯინა...

ჩახაჩუხი... წვიმა ისრების.

აჭა, მეც მოველ,
და ნაბიჯით ერთით მისწრებენ:
კოჭლი თემური,
ბუღა თურქი,
შაპი-ნადირი.

და... დგას შუამთა ჩანჩქერივით
დალალგაშლილი და საქართველოს
შუბლიგაჩებილ წარულს დასტირის.

1968

სემირამიდა

დრო არწივიგით დასტრიალებს
მძინარ ბაბილონს.

ევფრატის პირას
მკვდარ ბადს სტირის სემირამიდა.
და დუმს როდოსი, დუმს სინოპი
და დუმს ქიოსი.

ხსოვნა კი დელავს:
ნუთუ ჟამმა ვერ აარიდა მათ სიკვდილი
და...

ბნელი თვალი საიქიოსი.

1964



მოცეოლება

ჭიქა წყალივით შესვეს აზია,
 მერე ცხელ-ცხელად
 საქართველოს გული მოუნდათ...
 ფართო თვალებით როცა მტერი
 ჩვენსკენ იძროდა,
 წამოუფრინდათ ხოხობივით
 მტკვრისპირ თბილისი.

— შეკრთხენ...

თვალები სწორედ მაშინ

დაუგიწროვდათ,

—

უმზერდნენ შერით... სილამაზე არ

აპატიეს,

მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა

და ვენახი,

მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს, —

ვერ ჩაატიეს.

1972

ჩალისფერი დროშა – გორგასლიანი,
ელვის კრთობა – ხმალი დავითფერული,
ჟამთა სკივრში ვეძებე და ვერ ვნახე,
მხოლოდ გვიან მე ფსალმუნში ვიცანი
მზით გაფოთლილი “შენ ხარ ვენახი”,
გალობანი სინანულისანი”.

2007



დამე

ცის საშანდლეთში ანთებს
ვარსკვლავებს,
ფერმცრთალი შუქით მოაქვს ფიქრი,
დარდი,
წადილი,
მოაქვს შიში და ვეებერთელა ლანდი
მამონტის...
ქამარში ისევ გაურჭვია
მთვარე წალდივით
და, ვით მეტყველ
უღრანიდან დამე გამოდის.

1963



ჩვენი წითელი სააღანგელა

დარდს და სიხარულს ქარიშხალივით
გაჩენის დღიდან

მკერდზე მახლიდა.


ტალღისსიმება ზღვა მღელვარე
ჩემი ჩანგია.

მზე, რომ გადმოაქვს ქარს
ღრუბლების

მაღალ დახლიდან, –

ჩემი წითელი საპერანგეა.

1963



სიჩვენე

გასცემის მთვარე

ვარსკვლავებით გაცოხნილ

სივრცეს,

გაკრთება ელგა სულ ერთი ციდა, —

თითქოს მდინარე ზღვას იქვე ერთვის.

და სიჩუმეში

მოისმის ციდან:

ანგელოზების ფრთის რხევა და

ფეხის ხმა... —

ღმერთის.

1968



ზღვის ტაძარში, სადამოს თუ დილით,
ზეიროთთა ლურჯი გალობები ისმის
და ლოცვად დგას სოხუმი

და გაგრა –

დიაოხთა მწვანე სამანებში.

ზღვა უნდოა,

გულში მიკრავს მაგრად,

ცალი ფეხი მიდგას სამარეში.

1964



ქართული სიტყვის ათასწლოვან
 ტოტებზე მჯდარი
 შენ გიგალობდი
 “კაფე-თესეს”, თესდი თუ მკიდი
 და ჩემი ფიქრი
 შენი სულის
 წუხილში ენთო.
 დღეს ეს გალობა, მცირე თუ დიდი,
 მიიღე ჩემგან
 მსხვერპლშეწირვად, მამულო –
 ღმერთო.

1985

საათი

სიმყუდროვეში მოჩანს დამის
თორმეტი ტოტი
და მთელი დამე
ტოტიდან ტოტზე
დახტის ჩიტი...
და მშიერი, ოქროს ნისკარტით
თეთრ ციფერბლატზე დაყრილ წუთებს
კენკავს
და კენკავს...

1972



ავაზასაგიო კლდეთა ქიმზე
 წვება სიბნელე,
 ცა აღარ აჩენს ლალს და დინარებს,
 მწუხარე სახით იხედება მთვარე –
 სხეული,
 და ზღვასთან ელავს ციცქა მდინარე,
 ვით ტახის ეშვი,
 მუხის ფესვზე გადამტვრეული.

1969



დაჭო

მაშრიყში –

ცისკრის მოვანების დარეკა ზარმა,

და მზე წამოდგა სიჩუმეში,

ვითარცა მახვში

და ზე ასწია შავი ღამის დაბალი ჭერი.

დაუო ჩიტი კი...

გადვიძებულ სიცოცხლის

ბაღში

სიცოცხლის ლამაზ,

უსასრულო

სიმდერას მდერის...

1968



ზღვები

მიწის ვეება ბუდეებში
კვლავ სხედან ზღვები
და ნიჟარები კვერცხებივით
უწყვიათ ფსკერზე და მარგალიტებს
ჩეკენ...
და ჩეკენ...
გრიგალები კი ლომური ხმებით
მორბიან ჩემპან.

1966



ჩემი გალობა

რამდენი ჩანგი გადაჲყვება
ქარებს გრიალით,
რამდენი სვეტი...
და რამდენი ყალმის ნახატი –
დაედევნება გარდასულ ქამს
უცხო ფარფატით...
რადგან უფალმა ასე ინება,
რადგან გამჩენმა
ეს მიწყალობა.
“ოქროს საწმისად” პონტოს პირას
წაისილება:
დაფნაზე უფრო უწყინარი
ჩემი გალობა.

1969

ხერთვისის ციხა

დაჭრილ მკერდიდან –

კვლავ გადმოჩქეფს სურო და ხავსი,
ყურს უგდებს წარსულს...

და დახანებით

ესმის შორიდან ყაყანი და... ხეობებს
ავსებს

შავი ლანდები ლენგების და
მამადხანების.

ქრება მირაჟი...

და დგას ციხე ძვლებით ნაგები,
არც ერისთავნი, არც ამაყი ათაბაგები...
მხოლოდ წიფლის ხე დგას ქონგურზე,
ვით მეციხოვნე
და შებლშეჭმუხვნილ წარსულს
გასცექოს.

1965

ბრძოლით დაღლილი და დაქანცული,
ხელს – საუკუნის მაღალ მხრებზე
ჩამოვასვენებ
და დამადგება ოქროს ჩრდილი
ქალღმერთ ნიკესი, ვით გამარჯვების
შორეული სვეტი ნათელი.
მაგრამ ჯერ კიდევ, მე ყველაზე
უსასტიკესი
ომი მაქვს კიდევ გადასახდელი.

1976



თვლემამორეულ ნაკადულთან
 გაქრნენ ჩრდილები,
 სამყაროს თავზე
 არ ჩანს ღამის ნატისუსალი
 და მოლოდინში დგანან ხეები.
 და პა, ზამთარი ჩამობრძანდა,
 როგორც ჰუსარი,
 თეთრი მუნდირით,
 ყინვის მბრწყინავ სამხრეებით.

1967



ნაქალაქარი

მამულში თესდნენ წინაპრები
ციხე-ქალაქებს...
დიდი ხნის მერე აღმოცენდა
მშობელ მიწიდან
ნაციხარი და ნაქალაქარი...
ჩემი სამშობლო მხარე არის
სილამაზისა.

აწმყოც,
წარსულიც
ჩემთან აქ არი;
ფაცხა მეგრული ისევ ისე მიდგას
ფაზისთან.

1966



დგას გორგასალი

ჩემს თბილისს ადგას დადაფნული
მთების გვირგვინი...

არსით სულთანი,
არც ამირა

და არც გასალი.
გამქრალა მტერი და მაწყევარი.

აქ, ნადირობით დადალული,
დგას გორგასალი
და მტკვარი ფერხთქეშ გასწოლია,
როგორც მწევარი.

1964



ტალღებს გრიგალში უნდათ გაფრენა
და აკივლებულ ქორებს

ბაძავენ. ...

თვალებდათხრილი ნიჟარების
ისმის არია...

განისვენებენ ჩემი ზღვები?

აბა,

რას ბრძანებ!

პირიქით,

მუდამ შფოთში არიან...

1966



მამული

ნათლით მოსილი,
 ბროლის ფრთოსანი,
 მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური,
 გვტყორცნი სიყვარულს
 და ვარსკვლავებს
 ოქროს გირჩებად
 და... შენი ტრფობა –
 შიგ გულში მჭირს,
 ჩემო მამულო!
 არ ვიცი,
 როგორ გადაგირჩები.

1971



მენარგისება ცა –

თუთარჩელა

და ჩემს სიშორეს წუხს ზესკნელი

და ვარსკვლაგები.

ზღაპარში ყვინთავს შავი ზღვა და

ჩემი ოდიში.

“...დრო რა მოკლეა ქალის მკლავებზე

და რა გრძელია მის მოლოდინში”.

1962



პაპა

ოთხმოცს გადაცილებული –
 ლაფაროსთან მჯდარი პაპა
 ლეგენდების ქსოვდა ბადეს:
 – მაკითხავდა ტყაში მაფა,
 ადრე,
 მე აქ – ოდაბადეს¹.

1962

1 ოდაბადე – დაბადების ადგილი (მეგრ)



მარადისობის გარდუგალობა,
თითქოს ბობოქარ –
შენს სულს ირთავდეს.
ცა – უსამანო,
ვით ოცნება უცებ ამხდარი.
ვარსკვლავთა მრევლით
სავსე პირთამდე,
შორს მოვარე მოჩანს,
როგორც საყდარი.

1990



ზღაპრული ძგებანა ყოვილა კოლხეთი

ეს სხვებმა იკითხონ
და სხვებმა იდარდონ,
ადარ გვეშინია ჩვენ
უკან მოხედვის,
ცხოვრება ღრმაა და აკეთებს მონიას,
ზღაპრული ქვეყანა ყოფილა კოლხეთი,
და კოლხებს თავისი კვირბები¹ პქრინიათ.

1966

1 – კვირბები – დამწერლობა, წიგნები



თუმცა ბევრჯერ შარი-შურით,

მტრობისა და სიძულვილის,

ქარი ქროდა –

შავი შურის,

მაგრამ ძირს ვერ დაანარცხა:

ჩემი სიტყვის წაბლის ოდა,

აზრის ჯარგვალი და ფაცხა.

1969



შენ ხარ ხელმწიფე...

და წყვდიადში ნათელს ამეფებ.

მიჰყვები დღეებს მზის კარებიანს.


თუმც ზოგ-ზოგები სიძულვილის

ლაფში ჩაეფლნენ,

შენ საუკუნის ჭუჭყი –

აღარ მოგპარებია.

1994



სიმყუდროვეში კივილზე ელვის,
ღრუბლებმა წვიმა

წვალებით შობეს.

ქარი რომ თმებს იწერს, შეშლილია.

მთვარე მიჰყვება ვარსკვლავების

მორდვეულ ღობეს,

დამის უფსკრულში გადაჩეხვის

ეშინია.

1969



ALBERTSU

თუმც მიინავლნენ საუკუნენი,

მწუხერს კი წევხილი

მოაქვს ბატასი.

და ცა იგსება გარსკვლავების

ოქროს დუმილით.

ზღვისკარად მთვარე ღრუბლის ატლასით –

თავს კვლავ შეიკრავს

ბედუინიგით.

1963



30

ოცდაათი მიიღია,
ლერწმისა თუ იის ღერით,
მოჩახხახეს ხვდები დიღებს,
უკვდავებას –
მიიმდერი,
მერანს მიაავთანდიღებ.

1971



მოვა მწუხარი და მნათთა ნაყოფით
დახუნძლულ ცის ტოტს
დასავლით დახრის.
დამფრთხალი ელვა კისრისტებით
ღრუბლებში გარბის.
ვარსკვლავთა ცეცხლზე დგას მთვარის
ქვაბი.
დამე არაყს ხდის, მოწანწარებს
სინათლის რახი.

1986



ეპრისელი

შოორ, წარსულში გაჩენილი,
პონტოს პირას გამოზრდილი,
მტერთა ჩვენთა შემრისხველი.
და ლამაზი, როგორც ხვითო –
ფსევდონიმად “ეგრისელი” –
შეგირჩია ღმერთმა თვითონ.

1961



მე დაგემძებ საქართველოს

უამთა ზღვაში დამეკარგა....
დამსხვრეული, როგორც შუშა,
მსურს ერთიან გავამრთელო
და იარა მოვუშუშო,
მე დაგეძებ საქართველოს.

1992



მიღმიერიდან მოულოდნელად,
როდესაც მეხმა ბნელს და
მოძალეს,
ცეცხლისფრთიანი სტყორცნა ბოძალი,
ელგა ღრუბლიდან გამოვარდა
და დაიკლაკნა,
მერე მთებს მიღმა მიიმალა
სულთამობრძავი.

1986



ლოცვად აღანთებს მთებს ისევ –
დიდი ბექას¹ და ბეშქენის და
ფარსმან² ქველის ქველობა.
ისე არავის შეშვენის,
ვითარცა ვაჟა ეგრისელს,
რომ შვენის ეგრისელობა.

1999

1 – ბექა და ბეშქენ თბიზრები, ოქრომჭედლები
(XIII ს.)

2 – ფარსმან II – ქველი, ქართლის მეფე (II ს.)



ღამის სარკეში მოქამდამენი,
მზიურ სივრცეთა თანაზიარი,
მთიები,
თითქოს ლურჯი ტბებია.
ცაში რომ გაკრთა,
ელფა კი არა,
წმინდა გიორგის რაშის ნალის
ნაპერწალებია.

1972



უბრალოდ და უმიზეზოდ,
აღელვება ზღვას დაბრალდა,
მოიფხანა ქარმა კეფა,
უცებ გამსკდარ ცის ნაპრალთან,
დამემ –
მთვარე დაიყეფა.

1960



ჩვენსკენ კისერმოდრეცილი:
პარხალი და არდაგანი,
ჩილდირი და მაკრიალი,
ჟანგი რომ არ მოეკიდოს
ხსოვნას,
ისევ აკრიალებს.

1987



სადღაც, იდუმალ სიმყუდროვეში –
დის სტიქსე ელვის

ციებ-ცხელებით.

და ხმელი მთვარე ნავს ჰეგავს ქარონის.
იქ კვლავ მოისმის ჭიხვინის ხმა

“ლურჯა ცხენების”,

“ყორნის ჩხავილი” და “მერანის”

ფლოქეთა თქარუნი.

1974



პელოსაონტი

პოსეიდონის ხელით ნაწერი,

ლურჯი ზვირთები

არის კვირბები¹,

რომლებიც კოლხთა მივიწყებულ

წარსულს აჩენენ.

ცა ისეგ ცუდად გადმოყურებს ზღვას

გაკვირვებით,

კოლხეთში თითქოს წუხელ გაჩენილს.

1974

1 – კვირბები – უძველესი კოლხური (ანბანი)
წიგნები



მიმწუხრისას ვარსკვლავები –
მოქსემება ზეცას პანტად –
და წუხს მოვარის კილადოვნება.
დღე,
მზეს მზიოვად ბნელს გაატანს,
დილას გააიადონებს.

1976



მოულოდნელად ახლა რომ
მოვარდა ქარი გიჟივით,
ვედარ იქმს ის გრიგალობას,
რადგან ჩიტა ზღვა ჟივჭივი,
არ დირს შაშვის წვეთ გალობად.

1986




სიმყუდროვეში მირიადი მნათთა
სანთლები,
დილამდე იწვის და იღვენთება
და ლოცვის ქვამლში
გვიმძიმს გაძლება.
რადგან გვებულვის ცაში ლმერთები –
ვარსკვლავების
ოქროს ტაძრებით.

1968



სული ედგათ ციური
და უღმერთოდ ვერ ძლებდნენ,
დაბლა,
დედამიწაზე მარად დაუტევარნი:
ცაში “ყუავილს” ეძებდნენ –
ოთანე მინჩხი და
ოთანე მტბევარი.

1964



ტალღები

ეს ტალღები –

დაღუპულთა სულებია,

ნაპირს თავს რომ ევლებიან...

და შავი ზღვა, იცი, ჩემო!

შვილწართმეულ კოლხ დედათა

ცრემლებია,

მიტომა აქვს მლაშე გემო.

1978



დღეებს,

ვითარც სამოსს ვიცვლით

და გვგონია ამით თითქოს,
არყოფნის დარდს ვიცილებთ.

თუმც გულს “აქ” მზის ლოდი გვითბობს,
“იქ” კი,

მთვარე გვიცივებს.

1980



ნათელს გაღობენ

ჩემი სიცოცხლის ტოტებზე სხედან
და სიხარულს და ნათელს

გაღობენ

ისინი,

ვინც მე ეს ცხოვრება გამილამაზა:

ჩემი ზურაბი –

ფერი ფოცხვერის,

და ჩემი დაჩი –

შავი ავაზა.

1979



საწუთოს გზაზე საუკუნენი,
შენს სულს უდმერთოდ სვამდნენ,
ზვაობდნენ,
ცრემლი და ოხვრა,
ქრისტე და ჯვარცმა,
შენ აღარც ერთი არ დაგდლებია...
და აი, ახლა,
რომ იფიქროს ქართველმა კაცმა,
ამაზე ფიქრიც დამთრგუნველი
და ამკლებია.


1992



ჩემი ღრუბლები

ზღვა ქარიშხლით და მზით
 მოქსოვილი
 რომ არ მიყვარდეს,
 არ მაქვს უფლება,
 რადგან ტალღები მხრებზე ძლიერ
 ტორებს მადებენ.
 დასავლეთისკენ მიფრინავენ
 ჩემი ღრუბლები,
 შავი ზღვის ტალღებს რომ გაანდონ
 გულისნადები.

1968



ხუროთმოძღვარი

...და აღაშენა ციხე მტერთა
მიუდგომელი,
საუკუნეთა ხოტბით და ქებით
და შემწეობით ოვითონ მოწყალის.
დაშლილი ციხის გალავანთან
დაყრილი ქვები
ძვლები მგონია
უსახელო ხუროთმოძღვარის.

1968



აღმოსავლეთით

ღამის ნაპირთან, —

ზღვად ჩასული

მზისთვის ლოდინი,

სიშორის ტოტზე — ცა მოყვავილე,

და უამს ცისკრისას — შორეული,

ვითა ლეგენდა —

გამლის ყიფილი,

ძროხის ბლავილი

აღმოსავლეთით დილად შედედდა.

1965



ზღვისკარად ლოცვად დგანან პალმები
და იმათ დახრილ ჩრდილების მერდინს
ეალერსება ყვავილი კუსმის.
ადის და ჩადის მძინარე ზღვის
ვეება მკერდი,
ქარი კი ჩუმად,
დემონიგით საკინძეს უხსნის.

1989



ჩემს აიგანთან

ჩემს აიგანთან

ჩიტი უსტვენს განმარტოების,

და ხსოვნის ქვაზე

კლანჭებს იღესავს,

რომ კოლხთა წარსულს

ჩასჭიდოს უფრო.


სევდით მოცული

მიდის დამე ბედუინივით

და ცის ვეება უდაბნოში ვარსკვლავებს

თესავს.

1961



საღამოვდება...

ჭრიალებს მზის

ყვითელი ანძა,

ნარბენ ბაგშეიგით

ქარს გზადაგზა ეჭრება მუხლი.

იწყებენ წრიალს

ვარსკვლავები –

მთვარის ობლები.

და ჩემს სოფელში შემოდის მწუხარი, –

მაფშალიების და შაშვების

საგალობლებით...

1968

ყოველ საღამოს

მდუმარე ბორცვებს მოსდებია
 წლები ბალახად,
 ქაოსს და უკუნს შეუსვენებლივ
 ისევ მიარღვევს დღეთა
 მარტლა,
 და ჭრიალებენ ასწლეულთა
 მძიმე კარები,
 ყოველ საღამოს სასაფლაოს
 უმზერს მალულად
 დღე ფერმკრთალი და
 სიკვდილნარევი.

1985

გითვალთვალებან

ძვირ ხელისა

წახველ...

სიცოცხლე დავიწყების

ნისლმა დაბურა...

შენ პატარა ხარ,

და წყვდიადის გზას ვერ მიიკვლევ,

მიტომ გაქვს ცრემლით სავსე თვალები,

და მეჩვენება:

ვარსკვლავების ჭუჭრუტანიდან

ანგელოზები გითვალთვალებენ...

1964



800 აქილევსის გევაა ზარი

ფრთებს რომ გაშლიან ცაში აფრები,
ზღვას ჟინი უვლის
ქარში გაფრენის.

დელვის ტაძარში,
ვით მეგობარს, მაშინ შევუვლი,
როცა წუხს ნათელს პირმშვენიერი,
მედეასავით –

ლამე გრძნეული.
ვით აქილევსის ვეება ფარი,
კოლხეთის ცაზე ჰკიდია მთვარე.

1968



0რხევა ვიძრი

ტალღებს აღვიძებს აფრის შრიალი
და ზღვა ასაფრენ ყანჩასავით
ისევ წრიალებს...
და ვით მარცვალი დვარძლის და
იფქლის,
სიბნელე ფრთებით დააქვთ დამურებს.
დუმილის მძიმე ფეხისხმაზე
ირხევა
ფიქრი,
ვითარც ლერწამი, სასალამურე.

1967



မာဒ္ဒရေ မာရဖီလီဘဝ

မွှေ့ရတနာလို ၢာမတာရို
 ဇာတ်-ဇာတ် မိုးပာရျော်း
 ဇာ ဂားအုံကျော်း မိုးစွဲး
 ပျော်း
 မြောမို မာမျှော်း မျှော်းမာလို ဒါ
 ဒါ
 မှာ သား သား အုံကျော်း
 အမာတ ဒုံးကျော်း,
 ဇာနံး သား စိုးမွော်း၊
 ဇာ ဒါ၊ သား မာရျော်း မာရျော်း

1960



რწმენის ცა

ჩემს მებრძოლ დღეებს,
ვით დაცემულ
გმირ ჯარისკაცებს,
მე აღვუმართავ ერთგულების
მაღალ ობელისკს
და მარადიულ ნათელს ვპირდები...
რადგან რწმენის ცა, ჩაუქრობელი
იმედებით და ვარსკვლავებით
კვლავ იკვირტება.

1986



ქარი

მოგლიჭა ხე და მხარზე გაიდო,
 თავის სიშმაგე
 გეღარ დაფარა,
 დარეკა ჟამი ცის დამწუხერების...
 და გარბის სადღაც
 ლომის ფაფარით,
 ვეფხვის ნახტომით
 და მგლის მუხლებით.

1974



აპა, ოცნება
ცისკარივით ისევ ამაღლდა,
რაღგან მიწაზე,
 უცებ შესცივდა;
ლაჟგარდ სიმაღლის სიყვარულში
 მოდი, დამინდე.
და შუბლშეჭმუხნილ
წენარი ზეციდან
ჩემი ჩამქრალი ვარსკვლავები
 ერთად ამინთე.

1981



გარსპოლავებს პშერავს

აუწევიათ სახელო ღრუბლებს,
ცას მთვარე უჩანს
გალაქულ ფრჩხილად.
გაპროტება ელვა,
მილეული,
ვით თითი ცერა.
სადღაც ბლავის და არა ჩანს დილა,
დამე –
მჭედელი,
მზის ქურაში
გარსპოლავებს კვერავს.

1968



საცილებს და სპეცინებს

მინდორზე არდავიწყების,
ხსოვნა მუდამ არ იძოვებს,
გეეო, რაც რომ ითმინე.
აწ აღვიძებ: ჰალიძონებს¹,
სანტივებს² და
სკვითინებს³.

1970

1, 2, 3 – უძველესი კოლხური (ქართველური)
ტომები



ჯვარცმის შიში,
უშიშარს,
მუდამ მდევდა ფარული,
შენსკენ მაინც მოგქროდი...
ქრისტეს კვნესა მესმოდა
და სამჭვალთა წკარუნი,
სიშორიდან გოლგოთის.

1965



ქასებსა და ქალდეველებს

შავ ზღვას ჯერ არ ჰქვია პონტო,
არც ცალფა,
არც ჰელესპონტი.
ოქროსფერი ადევთ ველებს...
და ცა პირველ ნათელს
აფენს:
ქასებსა¹ და ქალდეველებს².

1964

1, 2 – უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



ზდაპრიდან თუ მითიდან,
საიდანდაც ყრუდ ატანს:
— მაქვს თოკი გასანთლული
 მათთვის!!!
უვლის ქრუანტლად
 მთებს,
ხმა ქრისტეს ნათლულის.

1967



არც აპვ ჩანს, არც ან მარვ

უძველესი კოლხეთიდან,
ჩემი დიდი წინაპრების,
არც ხმა ისმის,

არც ძახილი.

არც აკე¹ ჩანს, არც ან მარე².

ცა – ღიაა სამარხივით
და შიგ სულებს ასამარებს.

1988

1, 2 – უძველესი კოლხეთის მეფეები.



နံတဗ္ဗာဂါတာ

ရွှေဖ ကျော်မာတဲ့ လှေခြေးဖွေ့ဖြူး,
ကြိုင်းပိုး အွားမြေးမီး မြို့နာလွှား,
နှောက် ရွှေဖ မြှောင်း၊
ဖွေ့ဖြူး ကာရ်ဂာဒ် ရွှေ ပြောလွှား.
မတော် ကာဒ်ပာသို့,
ရှေ့မ မတော်မီး စွဲရှေ့ပေါ်,
အော်ပိုး အွားမြေး မရတွေ့လွှား.

1991



ზღვით და ხმელეთით კოლხები,
უამს მიჰკაფავდნენ

უსიერს

(უფლის ნახვაც კი ინდომეს*.)

თვალთა ისარი უწიეს –

ხატაქთსა და

ინდოეთს.

1966

* იგულისხმება ბაბილონის გოდოლის ამბები
კოლხები მეფე ან მარე (5185-5120.)



300 ასტროლოგი

პარას ჭალაში, როგორც ავაზა,
მოიპარება მწუხერი ფარული.
მთვარე გამოდის ცის მღვიმედან,
ვით ასტროლოგი.
და იწერება ვარსკვლავების
ასომთავრულით
ჩემი ქართული დამის პროფესიი.

1997



ოდი

ლეგენდების ბილიკებით
და მითოსის გზებით მოდის –
ხმა კოლხური –
(კვლავ ქართული)
შოორეული...
წარმართული,
“ოდოიასა” თუ ოდის*.

1968

*ოდი – კოლხთა (ქართველთა) წინაპრისტიანული დფთაება.



ღრუბლები –
დამის ჭირისუფლები,
მიასვენებენ მთვარის ბალდახინს.

ცა –
ვარსკვლავების ცრემლით ირწყება.
შენ უსამანო სივრცეს გასძახი:
– სადაც თავდება დედამიწა,
მე იქ ვიწყები.

1991



0სტორიის პებასი

მხოლოდ მისია,
ჰელიოსური,
მიწიდან არა, ციდან მოსული
და სხვას ვერავის ვერ მივამსგავსე.
მისი სიმაღლე,
სიდიადე და სისადავე
და ვერ ჩავიგდე ხელში სადავე –
აველი კოლხეთის ისტორიის
მფრინავ პებასი*.

1962

* პებასი – ჯადოსნური რაში.



ვათო

ძველ ამბავთა ჩხრეკა არ გსურს,
 მაინც უხმობ მიქელ ასურს¹,
 იქნებ იმათ გულზე მოხდეს,
 ვინც სიმართლეს ბნელით ფუთნის,
 იყო დრო,
 როს ზღაპრულ კოლხეთს
 “დედაქალაქობდა” ფუთი².

1996

¹ მიქელ ასური – ისტორიკოსი (XIIს.)

² ფუთი (მეგრ.) – ფოთი



გაზაფხული მიიღია,
და, ძვირფასო, შენ არ იცი,
 მე იქ ვარ და
აქ არა!
ღიად დახვდა სულს –
 კარი ცის,
ნაზამთრალს და
 ნაქარალს.

1978



იქადნევები

სოროებში სისინებენ,
ადევთ შიშის ცხრაკლიტული
და რჯული აქვთ იქედნური*:
სურთ გაიგონ ასპიტური,
აქეთური,
იქეთური.

1981

* იქედნე – გველი, ასპიტი, ჯარბი.



ელიამ კვლავ მეხი სტყორცნა,
მთვარის სავსე
თეთრ ამფორას.

ჯერ იქ,
მერე აქ იელვა.
დამემ დრუბლის ანაფორა,
მოისხა,
ვით არქიელმა*.

1963

*არქიელი (ბერძ). – მდგდელთმთავარი,
ეპისკოპოსი.



ოცდაცამეტი საუკუნეა,

სინამდვილე თუ

ძველი ლეგენდა:

ავ დედინაცვალს გამოქცეული ფრიქსეც¹,

ჰელესიც²,

ზღვასა და კოლხეთს,

ვით შეაბერდა,

დალატის მწარე ცრემლით

შელესილს.

1969

1, 2 – ფრიქსე, ჰელე – ათა მანდატისას და
ნეფელეს ქალ-ვაჟი.



800 ქოდეაჩარი

სიცივეში მდგარ ხეებს ტოტები
ემტვრევათ ისე,

როგორც ნეკნები.

ათჯერ ეცვლებათ დღეებს გუნება,
და თმაჭაღარა ქარი დეკემბრის,

ვით ქონდაქარი,

შიშველ ბუჩქებს ებდლარმუნება.

1979



ლინოსი და კადმოსი

სიტყვა ღმერთივით ზეცისკენ,
მუდამ იდუმალ ილტვოდა,
ვით სვეტი მარმარილოსი.
და მიტომ მოკლა კადმოსმა¹,
დიდი პელაზგი ლინოსი².

1976

1 – კადმოსი – ფინიკურ ენაზე დაყრდნობით
ელინელთა დამწერლობის შემქმნელი.

2 – ლინოსი – პელაზგური (კოლხური) დამწერლობის
შემქმნელი.



სიმყუდროვეში ჩამავალ მზეს –
ზღვად ჩაეცრიფა
სულები,
ყოფნის მოიაფეთა.
ცად “სულთაონად” ადიოდა
ზეირთთა გალობა,
რომელშიც მწუხარი ჩუმად აფენდა,
ქავებიდ ყოველი წარუგალის
წარმავალობას.

1980



ჰელიოსის გაკვესილი,
კვლავ კოლხური წამი ანთებს,
 ქამთა მთებში –
მთვლემარ ქანებს:
აბანტებს¹ და ამირანტებს²,
მალხიებს³ და
 მელანქლანებს⁴.

1967

1, 2, 3, 4 – უძველესი კოლხური (ქართველური)



(ვერლიბრი)

უუღურჯესი და უუანკარესი,
შოორ წარსულიდან მოდიოდა
ლექსის მდინარე,
მერე და მერე აამღვრიეს მისი
სათავე,
მეოცეში კი აილანძა და ამთაგორდა.
ახლა,
მის პირველ სიდიადეს
და სისადავეს,
ჩვენში კი არა,
ინდოეთში ვეძებო თაგორთან!!!

1977



ცით ჩამოსული ნისლის ფთილები,
ქარის ხელებით იჩეჩება და
იბელება...

ერთურთს უხმობენ კურეები და
კუნძულები.

ტალღები, როგორც დათვის ბელები,
ნაპირს ტორავენ,
მაგრამ ზემოთ ვერ
ამოდიან

და ისევ უკან მიძუნდულებენ...

1987



მთვარე ჩაცხვრის წყალს
ნარცისიზი

გრძელი ღამე რომ მალე გათენდეს,
ზეცას ყივილის ყელგაწვდილი
 თხოვენ მამლები.
და ვარსკვლავების ისმის სიცილი.
მთვარე ჩაცქერის წყალს
 ნარცისივით,
ბოროტ სულივით შორს რაღაცა
 მიიკვამლება.

1984



დროის ქვაბში ჩარჩენილ
რძისფერ ათასწლეულებს –
ერთად დღვებ და ამრგვალებ,
მერე ზედ დაკანკალებ,
პირველ ყოვლის მარგალებს¹,
მაკრისებს² და
მაკრალებს³.

1969

1,2,3 – პონტოს ნაპირებზე მოსახლე უძველესი
კოლხური (ქართველური) ტომები




ჩემი შინაპარი პოლები

სხვა ზარი და სხვა რისხვაა,
როცა ნაპირს მოადგება
ქარი წუხილით და
ოხვიოთ.

და მგონია შავი ზღვაა, –
შორეულზე,
შორეული,
ჩემი შინაპარი პოლები.

1962



მოგა დრო...

წმინდა გიორგი მიუძღვდა
ქართველ მხედრობას,
საღვთო ომებში იგი იყო
ჩვენი მფარველი
ყველგან: ასპინძას თუ ბასიანთან.
მოგა დრო ისევ, და დროშები
გორგასლიანთა,
გადახედავენ დიდგორიდან –
ქართვლის მთა-ველებს.

1991



ზღვით და ოკეანით დიან
და არარას იბარებენ.

შენ კი,
როგორც ამეთვისტოს¹,
ბერძნულ მითში ეძებ თვისტომ:
ფეაკებს² და
ტიბარენებს³.

1965

1 ამეთვისტო (ბერძ) ნახევრად ძვირფასი ქვა, იისფერი
ან ლურჯი
2,3 – ძველ კოლხური (ქართველური) ტომები



დიდი პოეტი

... მოჰქმდის ნიავი და შრიალით
არხევს ჩინარსა..."

ნ. ბარათაშვილი

უიმედობით...

ხან სიყვარულით,
გადადიოდა უამი ყირაზე.
დიდი პოეტი,
თუმც უჩინარი,
უნთებდა სანთელს –
წინანდლის ვარდს.
(არა შირაზის)
და ფიანდაზად ჩრდილს უფენდა
ფეხქვეშ ჩინარის.



ჩალურჯებოდათ ზვირთებს თვალები,
მიმოდიოდა ყევნივით ქარი

აშარი

და სანაპიროს შიშით ზარავდა.

იქვე მდგარ კლდეებს
ტანზე ეცვათ ყინვის ჯავშანი,
ყინვის მახვილი...
ყინვის ფარი და მუზარადი.

1988



ლემნისი

ყველა მოგარე აქ ჩადის,
 აქ ამოდის ყველა მზე,
 აქ –
 კუნძულზე ლემნისის.
 და მე ვხედავ პელაზგებს* –
 თქმულებებით თავშაკრულს,
 ლეგენდებით შემოსილს.

1967

* პელაზგები – მეგრელ-ლაზთა წინაპრები



ამ ცისქვეშეთში,
ვით დღე და ღამე,
პვლავ ერთად ხარობს
ლვარძლი და
იფქლი.
ეყრება საფლავს ვარდიც და ბეჭდიც.
ეამი კი სადღაც ქარიგით
მიქრის,
სიკვდილისა და სიცოცხლის ეტლით.

2001



სოზელი

შიშს და სიბნელეს
ყეფენ ძაღლები,
და უამური
წვიმით მოზელილ
მეზობლის შუპას –
ყელს გარჩენია
ჩემი მოზვერი, ვითარცა ლუგმა.

1969



გადაფრენა

დაუოკებელ გზათა სიშორეს

და გადარჩენის უმძაფრეს

წყურვილს

ველურ ყივილით კვლავ ემსხვერპლება

ფრთამოქათქათე გუნდი

ბატების...

მათი სულები სამშობლოში

მოვლენ პეპლებად

ყოველ გაზაფხულს და...

მინდვრებზე იფარფატებენ.

1978



არც ოქრო,
არც ვერცხლი,
არც ფული,
არ გშველის...
შეუში ხარ ჩაფლული...
და აღმოგაჩინონ, ვით ტროა,
დროა,
პოეტო, დროა!

1968



ტოტიდან ტოტზე ჩამოხტის წვიმა,
ფანჯრის სარკმელს კი მიჰკვრია ბავშვი
და მიუჭებელავს ცხვირი
და სახე,
ფიქრობს:
ცა როცა გადუჭერს სახრეს,
ატირდებიან ღრუბლები მაშინ?..

1972



გმირთა სამეფო და საბრძანისი –

აპა, დიდგორი,

აპა, ქრწანისი! –

ყოფნა-არყოფნა,

აქ იწყება შენი მამული,

წუხილი...

ოხვრა...

და სინანული...

· · · · · · · · · · · ·

დირდა სიკვდილი ლამაზ წამისთვის,

“ძლევა” – დიდგორი...

“რბევა” – ქრწანისი.

1967



ცის პაპირუსზე
დოლას წერს დმერთი,
მერე შლის და შლის საშლელით
ღრუბლის

ვარსკვლავებით დაწერილ წერილს,
მოსწონს, არ მოსწონს.

ირიქრაჟა –

გაეხსნა შუბლი
და გაქრთა ელვა –
მოაწერა უფალმა ხელი.

1979



ჩემმა გამჩენმა

ჩემი სამშობლოს

ცის სილამაზე –

თავს დამარისხა,

და ვიცი, ახლა

თვით უფალიც ვეღარ მიშველის,

რადგან დღედაღამ ფიქრის კარზე მესმის

კაპუნი.

მაცხოვარივით –

ტიტველ-შიშველი –

ვარ პოეზიის ჯვარზე გაძრული.

1980



ჩემს ქართულ სიტყვას ვაელვარებ ხელში
ხმალივით,

თვით სირინოზებს დაატყვევებს ხმა –
ჯადოსნეური.

და საქართველოს მზეს და მზის კერას,
ქუდს მოვუხდი და

ვივლი უქუდოდ,
სანამ სიკვდილი ამომიკერავს
მარადიული ძილის ძაფით

თვალთა ქუთუთოს.

1997



ბავშვობის მოგონება

სოფელი...

ეზო მოდობილი ტრიფოლიატით...

ჭა... (ოწინარი ფეხისწვერზე ისევ ირწევა)

მეგრული ოდა...

კოპიტის ხე და საქანელა.

საქანელაზე ზის მტირალი ჩემი ბავშვობა

და დედის ხმაზე მშვიდად ირწევა...

1962



VIII საშპუნე

სიავით სპარსიც დაჩრდილა
აღვირახსნილმა

არაბმა.

წევს ქართლი ისარგაჩრილი.


და, თქვა: მტკვარმა და

არაგვმა:

“იგი ვეფხვია დაჭრილი, მაგრამ
მომაკვდავს

არა ჰგავს!”

1975



მედეას ონგრა

...ალბათ იგონებს გრიგალებში
მძინარ დიოხებს,
შავი ზღვა როცა ამოიოხერებს.
ვაჟა ეგრისელი
ეს ზღვის კი არა,
მედეას ონგრაა,
ვითარც სხვა, შვილმკვდარი დედები,
მასაც აქვს უფლება ონრავდეს.
მან გადასცურა შორეული ზღვა –
ლეგენდების
და მიაღწია ელადიდან –
კოლხამდე.

1968

მე უნდა მოვკვდე... რადგანაც,
ქვეყნად გაჩენით უფალმა
ბევრჯერ შემყარა ვაებას.
ქედს მაინც მის წინ ვიხრი.
რად მინდა მე უპვდავება,
ნეტა რა თავში ვიხლი.

1981



გარსპოლავიანი ღამე

იხუნძლება სიკრცე
 მტევანებით ქარვის,
 მსხმოიარე მნათთა მწერივს მიყვება
 მწერივი...

ცას ხელთ უკავია მთვარე,
 ვით სასხლავი.

მზე რომ გარდაიცვალა,
 დამე, როგორც ქვრივი –
 უცებ შეიმოსა შავი მოსასხამით.

1987



ხერთვისის ციხე

ანთებს და ანთებს თვალების კოცონს,
ციხის გოდოლზე –

ავის მაცნედ გაჲკივის ჭოტი.

ქარი კი, სადღაც ერეკება ღრუბლების
ფარას.

იელვებს ელვა...

და ლამის ტოტზე
პვლავ დააბუდებს შიშსა და წევარამს.

1997



მზე და მზესშმზირა

გამოვენისას, როს ცათა მეუფემ,
გალალა მნათობთა ნახირი.

მოხდა იჩქითი შეხვედრა:
მზესუმზირამ მზეს თვალში შეხედა,
შერცხვა და...
მას შემდეგ დგას თავდახრილი.

1965



მეღვის ღლებები

არ ჩანს უფალი, რომ გააშეელოს
 მმები ერთმანეთს –
დვთის ბოძებულ ნათელს ართმევენ,
დარდი იფქლივით უფრო ხშირდება,
 როდესაც ვხედავ:
თუ როგორ ჰყლავს ქართველს
 ქართველი,
მეწვის დღეები... და სიცოცხლე
 მინახშირდება...

1992



აახმაურა ტყის სიმშვიდე
 ლურჯთვალა ღელემ,
 როცა ღრუბელმა
 მიაბდავლა ცას სავსე ცურით
 და ბილიკების მოხრილ ყანწით
 სიმწვანე შესვა,
 მაშინ ხეებმაც დაცქიტეს ყური,
 რამეთუ, შორით გაზაფხულის
 ცეხის ხმა ესმათ.

1979



გაშმაგდება და აღვირს გაწყვეტს
ჩემი სურვილი
და ღრმა სულიდან
ამოხეთქავს სმა შადრევნებად...
ღელვის ბუდეში –
უზრუნველად სხედან
სად ზღვები,
იქ მიმაფრენენ ჩემი მერნები
და მათ სიშორეს და სიმაღლეს
დავესაზღვრები.

1980

ჩვენი სიცოცხლე

მოდის...

არ მოდის...

და გვწყინდება გზისკენ ყურება

და ჩვენ ყოველდღე ნამცეც-ნამცეც

ჩვენი სიცოცხლე

მიგვაქს სიკვდილის დასაპურებლად.

1957



ცაზე ბრწყინავდა შარავანდედი,
დვთის სადიდებლად ადანთებდა
თეორ სულს ტყემალი.
პონტოს თვალებში ენთო ხსოვნა –
ცბიერ ბერძნების.
ზვირთები ხტოდნენ, ვით ერკემალნი
და მთები იდგნენ, როგორც ვერძები.

1974



ციხეთა ჩრდილში
ჩამომსხდარან საუკუნენი,
და დაუხრიათ დაბლა თავები
და ძველ დიდებას ჩუმად ოხრავენ...
ხოლო არმაზთან

მთვარე დამზერს
ერისთავების
შურით და მტრობით დაჭმულ ყორდანებს.

1969



სასაფლაო

პატარა ჩიტი

მიმწუხრს უსტვენს განმარტოებით,

და სევდიანი ისმის მოტივი,

აქ განისვენებს მოყვარუც,

მტერიც.

მიველ...

და ლოდქვეშ იმათ ხსოვნას წავეპოტინე

და ხელში შემრჩა მარტოოდენ

ლამე და მტკერი.

1970



შეუსვენებლივ –

დღის და ღამის ლიანდაგებზე

წლები გრიალით

ისევ მიქრიან...

ხეს – სიცოცხლისას ისევ ისე ცვივა

ნაყოფი.

და ვხედავ: შორით დგას მოწყენილი

ქართული ცის ქვეშ

ჩემი არყოფნა.

1971



ზღვის მიძინებულ მკერდს რომ შეახებს
ნიავი ხელებს,
ტალღა უცებ გაიფურჩქნება,
ვით იასამნის ლურჯი მტევანი
და მერე ცაში აფრენას ლამობს,
ვითარც ფრინველი,
რომელიც ლაჟვარდ
სიმაღლეს ელტვის...
მთვარეულ გზებით დაიძვრება
დილა – ნინველი,
შროშანისა და მარგალიტის უნაზე
ეტლით.

1968

გოთარც ფსალმუს

დღე-დამის მღვრიე ნაკადულებით –

უსასრულობის ოკეანეს

წვეთ-წვეთად ვერთვით,

მოკვდავებს თვალი მიტომ გვაქვს სველი.

ათასში ერთხელ, ვითარც “ფსალმუნს”

გვიკითხავს დმერთი –

ცას ნაწერს ელვის გაკრული ხელით.

1962



Կազմությունը պատճենաբան է՝
ուստի առաջնահարցը կարող է լինել ուժությունը.
Վայրական առաջնահարցը կազմությունը է՝
ուստի առաջնահարցը կարող է լինել ուժությունը.
Վայրական առաջնահարցը կազմությունը է՝
ուստի առաջնահարցը կարող է լինել ուժությունը.

1998



ცა მკერდზე მეხს იბრაგუნებს,
 ელვა შეშლილივით დარბის
 და კოლხ დედასავით კივის:
 – ეს შავი ზღვა, დაჩენჩხვილი
 შავი კაბით,
 ნეტავ ვისი არის ქვრივი?!

1979




აქაც, იქაც

დასასჯელად რომ მოხვედი,
როცა წახვალ, დაგადებენ –
შავ ლოდსა თუ თეთრ ქვას –

ფიქალს.

ვიღაცა ხმობს: არის ერთი ჯოჯოხეთი –
აქაც,
იქაც.

1986



სად კავკასიის დიდი ქედია
 (მე იქ ვიხილე ელვის ენის
 ბურგვნილობა),
 დღის შესახვედრად მზე ჩაუყვა
 მწუხრის კიბეებს,
 ისე, უკან არც მოუხედია,
 რას მივაწერო მზის
 გულგრილობა?!

1997



ჩამავალ მზის მეწამული
მოსასხამით,
ფარაონს ან მეფეს ბაძავს,
ქარი, როცა ჩამოივლის ამქრითა,
და კითხულობს:
შავი ზღვა რომ იცვამს ბაძას,
თქვენ თუ იცით
თუ ის როდის დაქმრივდა!!!

1964



ალბათ წინაპრისა არის,
წარსულში რომ გოდებს ხმა:
— ქუხილით და ელვითა,
აქ —
გოლხეთში ოდესდაც
მოვედი ზღვის დელვიდან.

1961



მიმწერისას სოფლის ბოლოს,

სიმძიმილის დაპკრა ბუკმა


და მოხუცი

ბერი პაპა,

როგორც გემრიელი ლუკმა,

სიკვდილმა მყის გადაყლაპა.

1965



ვით გადამფრენი გუნდი წეროთა,

დღეები – დღეებს თქორად

მიება.

ირგვლივ ინთება ლექსთა ხანძრები.

და... უგალობენ ცაში მთიები,

პოეზიაში შენს აღტაძრებას.

1957



ცა —

ყვავ-ყორნებს დაუფარავთ,

მზე რომ მზეა,

არ ნათელობს,

ის ვეშაპს ჰყავს გველაძუას.

ეპ, ქართველებს ერთმანეთი,

მერე მთელი საქართველო

ნეტავ, რაღამ შეაძლეა!!!

1993



დრუბლის ლოდს გვერდზე გადასწევს,
მთვარე,

თითქოს და ლაზარეა.
მადლობა უფლის არ ილევა.

ცა —

ლვთის ტაძარია,
მოპირკეთებული,
ვარსკვლავთა ოქროსფერი ფილებით.

1963



სიჩვენე და სიმყდომე

ჯობდა, აღარ მოგსულიყავ,
უნდა მოგავდე,
რადგან ვიშვი
და ვედები ღობე-ყორეს.
თუმცა, ვიცი,
მელის შიშით,
სიჩუმე და სიმყდროვე.

1999



ტანთ აცვია ცეცხლის კაბა
და ახურავს ქუდი ბინდის
მზეს და...

დილას მიღიღინებს.
მოვარეც დასავლეთით მიდის
და ვარსკვლავთა ისესნის დილებს.

1969



შორიდან თვალებს მიბრიალებს,
თუმცა არაფერს ვაშავებ.

და “ის” შინ მეწვევა როცა,
მიწას თვის წილს მიგაშავებ
და ცას –
სულს აღუვლენ ლოცვად.

2004



დრო,

გითარცა ხურდა ფულის,

დღეების –

უანგარიშო მხარჯველია,

მომჭირნე არა ჩანს სხვა,

სიცოცხლე –

სასჯელია,

სიკვდილი –

ხსნა.

2000



დღე

მაღლა აიწევს მოქათქათე
ღრუბლის საყელოს,
ჩაივლის კასას და
ჩაივლის შროშას,
მზერას მიაწვდენს ფოთს და ნატანევს.
და დღე,
მზეს, ვითარც სინათლის დროშას,
დასავლეთისკენ,
უამს მწუხარისას ჩამოატარებს.

1963



სონეტს, ჰერცინას, ფრიდლენტს

სხვად “კოლხური ფსალმუნი”,
სულ სხვა პანგი აქვს
იადონს.

ძნელ გზას ვერ გავითლებ.
და სათქმელს ვედარ მივანდობ:
სონეტს,
ტერცინას,
ტრიოლეტს.

1962



ტალღა

მოადგება უცებ ნაპირს,
მოქათქათვ ქაფის ჩალმას
დაიხურავს,

როგორც აღა.

მერე პაწაწკინა ტალღა,
ხელს აღმართავს, როგორც ბიგელს,
და უცოომლად მის გულისთქმას,
მისი თვალებიდან ვიგებ.

1967



კოდალამ “მორზეს” ანბანით,
ტყეს გაზაფხული ახარა.
ცეცხლი გამოკრთა შეშიდან,
ელვაც ბაგშვივით შეშინდა
და მეხმაც გადიხარხარა.

1980



სიცოცხლეს არ ვეძრახვი,
არც სიკვდილი მაშინებს,

ცა –
თავზე არ მემტვრევა.
ცხოვრებას რომ ვეძახით –
ვზომავ არა მეტრებით,
ჩემეული არშინით.

2005



ქარს კალთებით მიაქვს ფიფქი
დამის ხიდან –
ფოთლებივით დაცვენილი
და მოხუცი მთვარე საღდაც
მიცოდვილებს...
ცას სცვიგა და ვარსკვლავების
ოქროს კბილებს,
ერთმანეთზე აცემინებს.

1959



როგორც მხედრები –
ველზე მარტყოფის,
ისე შევდივართ
გამოუცნობ ომში არყოფნის.

1989



სულ მანჯღრევს და მაღვიძებს,
წამით ადარ მასვენებს,
უამი ესე თავხედი.
და ნიადაგ კოლხეთის –
წარსულისკენ მახედებს.

1960



ძრისტას მხედარი

ბაღგაშების ნაგრამი, —
აფსუური,
ოსური,
არ გშორდება და დაგდევს
შური —
ქვეგამხედვარი,
რადგან მტერთა მრისხველი,
კოლხეთიდან მოსული,
შენ ხარ ქრისტეს მხედარი.

1993



ଧ୍ୟାନିକା

ଯୁଗେ ତମ ମିଥିଗଲେ,
 ସ୍ଵର୍ଗ ମରଦାମ,
 ରାଜାଙ୍କାରେ ପରିପୂରଣିତ
 ଦାନାବୀର,
 ପାରଦିନ
 ଏହା ପାରଦିନ.
 ଲାମାଶିଳ ଫିଦନା ଦୁର୍ବଳେ,
 ସ୍ଵର୍ଗ ଶନିର ପାଦରେ ପରିପୂରଣିତ
 ଦାନାବୀର.

1964



გაიიაღონებს იმედივით,
დილის ოქროსცვარში გაივლება,
ის ვარსკვლავი –

ცაში რომ დაიგულვე·
მივიწყებულ დღეებს კონავ ყვავილებად,
ქართულ აზრს და სიტყვას
აითაიგულებ.

1967



პონტის პირას მონანავე –
ქარი იქცა ქარაშოტად,
ცამ ჩაიცვა ჯაჭვი რვალის.
ღრუბლებს რალა ჰქონდა ბრალი,
ღამებ ელვით
რომ გაშოლტა.

1989



XIX საშპრე

მთვრალი ყარაჩოლელი
(მოწმე ძველი დიდების)
ორთაჭალის ბაღებთან –
მტკვარს ბაიათს უმდერის.
რადგან ქედზე –
ხიდების,
ადგას მძიმე უღელი.

1966



ქუხილისგან დამფრთხალი –
ელვა გაიკლაკნება
ბნელში, ვით უსახელო.
მთვარეს გამოუჩნდება
ჭუჭყიანი საყელო.

1966



თოლიები კი ნაპირს ელტვიან,
ვითარც სულები წყალში
დამხრჩვალთა.
პოეზიის ზღვის მე ვარ ტარიგი.
მადლობა უფალს
და არსოგამრიგებ,
ჩემი მზე ცად რომ ამობარჩხალდა.

1993



რა ეგულებათ იქ –

ჩემს მეგობრებს

(ვერ ვხსნი ურთულეს ამ განტოლებას).

რომ მიდიან და

წასვლას მასწრებენ.

მე ყოფნის ხეზე მიბმულს მტოვებენ,

მზიოთ გასანთლული –

დღეთა ბაწრებით.

2005



როგორ მიყვარდი

ვით წარდგნის მერე მდინარეები,
გაგუვები ჟამთა
უცხო დინებას.

შენ გაიხარე და ამიყვავდი.
ქვეყნად არავის!
მხოლოდ შენ ერთს გეცოდინება,
თავდავიწყებით როგორ მიყვარდი!

1967



0სეგ თურარჩელა

სიბნელის მიღმა,
 უსამანო სიმყუდროვეში,
 მეტეორები მიიქნევენ
 სინათლის კუდებს.
 დამეს არ სძინავს და თვალებს ნაბავს
 და თავქვეშ მთვარის
 ბალიში უდევს,
 ცა ვარსკვლავებით დაწინწკლული
 ახურავს საბნად.

1965



ო, სულო ჩემო

ძეხორციელი გვქვია და ხორცი
მიწის წიაღში –

გვეწევა ქვემოთ.

ჩვენ კი ნიაღაგ უფალზე ლოცვით
მივიწევთ მაღლა,

ო, სულო ჩემო!

2003



მოუნისი

მზე წინ უსწრებს დილას,
თითქოს,
მიუხტოდეს დედას ქვიცი.
ზე მიიწევს კვამლი ბუხრის.
და ჩამოდის ციდან მწუხრი,
თავწაკრული მთვარის ქიცით.

1971



თიბათვე

ახალ ნათიბ ბალახით –
ნაფენ კოლხურ მიწაზე,
როს პირადმა დაგწვები,
თვალებს ჩუმად იტაცებს:
სიშორის ხელუხლები
ცის წითელი დაწვები,
მთვარის თეთრი მუხლები.

1968



გათხვება

ვერცხლისფერი დამის ჯაჭვით,
მოვარე ცაში თითქოს ება –
და ახლა კი სადღაც გარბის.
უკლერებენ მნათნი ებანს,
ჩანგსა და მუღნს,
ნასს და ბარბითს.

1962



მზე პირს იბანს

გადმოდგა ცის აიგანზე,
ჩაიკეცა საყელო და
მზე პირს იბანს
და სამყარო უმზერს მთელი –
იცის მნათმა ღვთის ნაშობმა.
დღემ გაწურა ღრუბელი და
თოკზე ელვის –
პვლავ გაკიდა გასაშრობად.

1959



မဝါဒဝါဒဝါဒ မဝါဒနှစ်ဝါ

မိမိစွဲတဲ့ အဖွဲ့အစည်း၊
ဒေသပိုင်းမြတ် မိမိစွဲတဲ့;
အချို့အရာ တွေ ထွက်ပေါ် –
ပုဂ္ဂန်များ ထွက်ပေါ်၊
မိမိစွဲတဲ့ မိမိစွဲတဲ့,
မိမိစွဲတဲ့ မိမိစွဲတဲ့၊
မိမိစွဲတဲ့ မိမိစွဲတဲ့၊
မိမိစွဲတဲ့ မိမိစွဲတဲ့ – မိမိစွဲတဲ့.

1986



მთვარე

ქუხილის ხმაზე მოულოდნელად,
მწვერვალზე ელვის ყულფში
თავს გაყოფს
და მხსნელი ქვეყნად არვინ ეგულვის.
შუაღამის ცის შეთვალულ
ნაყოფს –
უთვალთვალებს მოვარე –
ებგური¹.

1969

1 – ებგური – დარაჯი, გუმაგი



ალგის ტოტზე დაკიდულ მთვარეს,
ვით ოქროს საწმისს,

ქარი კვლავ არხევს,
და ცაზე უცებ გამკრთალი ელგა,
მე მეზენება აიეტის ცეცხლის ხარებზე,
იაზონის მოქნეულ სახრედ.

1958



ზღვა ცოფებს ყრის და...
მე გადარჩენის
აღარ მიტოვებს იმედს – იოტის,
თან სდევს წყვდიადი, აკომპანიმენტად.
მაგრამ შორს, სადღაც
ხმა მიკიოტის,
ცალ გაიელვებს, როგორც ქომეტა.

1982




ერთი ღრუბელი, ვით შავი კატა,
გეება დამის ტოტიდან ტოტზე
მიხოხავს მუცლით...
და შორით ხედავს:
ცა მნათობების ბუდეებით რომ არის
სავსე,
სადაც სინათლის ბარტყები
სხედან.

1968



არყოფნა არის მარადიული,
ყოფნას კი მუდამ
დღე აქვს დათვლილი
და ხელი უდევს ძილის აღვირზე.
რომ არ ვიქნები,
მერე ხსოვნამ თუკი ჩათვლიმა,
თქვენ შეანჯლიეთ და გააღვიძეთ!

1989



დღე დამის კალთას თავზე გვაფარებს
და პვლავ დაგვცერის თვალი –

მოწყალე,

თუმცა მიგველის დამეული ციკი
მაღლობი.

შორსა ხარ, მაგრამ...

რომ ხარ ცოცხალი,

მადლობელი გარ ამ სიახლოვით.

1991



სამთავისი

ჩამავალი მზის დახრილ ტოტებზე,

ცას რომ ანახოს უძლურება

ქარმა თავისი,

შორს მიაქვს სადღაც ბაბუაწვერას

თეთრი

ოცნება.

მკერდს მიხუტებულ ჯვრით –

სამთავისი,

დგას სიჩუმეში, ვით გაოცება.

1969



მბრისის ციხე

როცა ეგრისის ციხეს ჩავუვლი,
 გვიან გაჩენის შემაურეოდებს
 დანაშაული,
 და მესმის ხმები, შეწყალების არა
 მთხოვნელთა.
 მთვარის ფარით და
 მზის შუბით ხელში,
 ქონგურებზე მდგარ –
 გუბაზ მეფის მეციხოვნეთა.

1988



ალბათონი

ჟამს მიმწუხრისას ზღვად ჩაძირული
დუბა, მზესავით ზე ამოაქვთ
დილით მატროსებს,
თუმცა გრიგალი ცივ ნაპირზე ამსხვრევს
მინანქრებს...
გემის ანძაზე ზის ალბატროსი –
შლის და ვედარ შლის
ფრთების იალქნებს.

1989



ზაფხულის ღამე

თითქოს და ჩიტის ბუდეა ღამე –

მოწნული ელვით და

ღრუბლების ბალახით,

მთვარე დედაჩიტობას იჩემებს,

ჩეკს და ჩეპს მნათობებს...

და მერე სხივებად,

ჩამოდის ჩვენამდე იმათი ჟივჭივი...

1967



ორი გაკვეთილი

ცხოვრება –

ჩემი მასწავლებელია,

ყოველდღე მიტარებს ორ გაკვეთილს –

სიძულვილის და

სიყვარულის.

ძნელია, მაგრამ... ვჯახირობ, ვწვალობ.

პირველს ვერა და...

მუდამ ფარულად –

მეორეს ვსწავლობ.

1962



მეგრული “ნანა”

ფაზისის პირას თქმულებით და მზით
მოყვავილე –
ჰეკატეს თეთრი ბაღი მეგულვის,
სად დამის ტოტზე ფორთოხალი –
მთვარე ქანაობს...
და ბაღს იქით კი, ტიალ გზაზე “ნანა”
მეგრული
მიდის მარტოკა...
მიფერმკრთალობს და მინანაობს...

1960



ჩვენი ეზო

ძველი სურათი:

სოფლის ალაგე
და დობის სარზე ცხენის ქალა –
კბილდაკრეჭილი.
ეზოში შეშით დატვირთული მამის ურემი
და ყვითელგულა წიწილები,
ვით ოქროს მარცვალი...
მოხუცი დედა...
და შუკებში ინდაურების
ქალიშვილებივით ტკარცვალი...

1963



ဝါ ၁၄၁ အမေရတိ

ဝါ လေပြောလုပ်နဲ့...

တော်များ ဖွံ့ဖြိုးလဲ၊ ရှေ့မ သွေ့နှေ့ပေါ်၊
ကိုယ် ကာနေ့တွေ နဲ့ ပို့ဆောင်ရွက် ပေါ်မှတ်။

နဲ့ ပို့ဆောင်ရွက် ပေါ်မှတ်၊
ပေါ်မှတ် ပို့ဆောင်ရွက် ပေါ်မှတ်၊

ဒေါ် ၁၄၁ အမေရတိ၊

ဘာတော် ပို့ဆောင်ရွက် ပေါ်မှတ်၊ မိမိ အိမ်နာ တော်
နဲ့ ပို့ဆောင်ရွက် ပေါ်မှတ် –

၅၂၃

1967



გერ დაშვირები

სიცოცხლეს ჩვენსას ჭამს და ინელებს,
შავი სტომაქი

ცრემლით ევსება
მიწას და... მაინც არის უძღები:
რაც უნდა კარგი წერო ლექსები,
პოეტო,
სიკვდილს ვერ დაუმვრები!

1992



ელია

ნაპერწკლებს ყრიან ელვის რაშები,
სადღაც ილტვიან...

ალბათ ელიან...

აღარ გუგუნებს, ჩამქრალა მზის ბველი
ბუხარი.

წვიმას მიუძღვის დმერთი –

ელია,

ჭეპა-ჭეხილის ეტლით ცაზე გადიმჭვხარა.

1982



მე გარსპოლაგებში დავიდე გინა

დამით დახურულ ცის დიდ ტაძარში –
კვლავ ფეხშიშველი ლოცულობს
წვიმა...

ანგელოზების მესმის გალობა.
მე ვარსკვლავებში დავიდე ბინა,
იქიდან გუჭვრებ –
სიყვარულის წარუვალობას.


1992



მს არის უდაბნო

გრიალი გააქვთ არყოფნის დიუნებს,
ყოფნა უსასოო,
უდვოთ და უდაფნო,
მოწყენილი და ნაღვლიანი.
უკაცო ქვეყანა,
ეს არის უდაბნო,
გაღვიძებული ძე ლომის ღრიალით.

1990



როდესაც ნახეს მინდორ-ველებმა
აპრილი,

მწვანედ გადიკისკისეს...
წყალს ნარცისიგით ჩაცქერს წყურვილი...
ხეში ყოველთვის
უხილავი ცეცხლი გიზგიზებს...

1984



დღისა და დამის სუნთქვას ვისმენდი,

გული

შორეულ მნათობების გრძნობდა

შერხევას.

და უსასოო,

წლებმა მაინც არ მანებივრეს.

აწი ჩემი ხმა

გადაუმსხვრევს რკინის ხერხემალს,

საუკუნეთა მიუვალ და მაღალ ჯებირებს.

1991



დამის ფანტომი

ფერმკრთალი ღამე –
ზის ღრუბლების
თეთრ სავარძელში
და ტყუპისცალზე –
დღეზე ფიქრით შემობურვილი,
ეძებს ვარსკვლავთა ოქროსფერ ნომრებს
და კრიფავს დილას,
ხელთ უჭირავს მთვარის ყურმილი.


1969



შავი ღრუბლები

ზღვათა დელვისგან ამოსულები,
 ქარისგან თითქოს თავისუფლები,
 ხან განრისხებით,
 ხან დაყვავებით,
 ვით ვაჟას დაჭრილ არწივს ყვავები,
 მთვარეს კორტნიან შავი ღრუბლები.

1969



ფეხდაფეხ დაგვდევს არყოფნის შიში,
ძილსაც გვიმწარებს –

სიზმრები ავი.

სახეს გვიღარავს ცრემლები მლაშე.
და დღე-ნიადაგ სმენას “გვიტკბობს”
ყრანგალი ყვავის,
ვით ტკბილხმოვანი გალობა შაშვის.

1989



ოქროს საჭმისი

ლეგენდებიდან მონაბერი ართობს ნიავი
და ღამის წყვდიადს

ადარ იკარებს,
ათასწლეულთა მიღმა მოჩანს მისი
საწყისი,
განფენილია შავი ზღვის კარად –
ჩემი კოლხეთი –
ოქროს საწმისი.

1962

ხილვა

მოგონებებში –

ხობისწყალი ნაპირს გადმოდის

და ნათლად ვხედავ:

ღგას დამბაზე ჩემი ნაცნობი

ბიჭი, რომელსაც ტანთ აცვია სველი

პერანგი.

პარას ჭალა კი აზავთებულ ზვირთოა

ლგარცოფში

მოჩანს ისე, ვით არქიპელაგი.

1963



ამდენი ლოცვით

ასე მგონია:

ქრისტეს შობამდეც,

ქართველი კაცი თავის ბუნებით

იყო, ო, იყო ქრისტიანი

სულით და ხორცით.

ღმერთიც შველოდა, უღმერთოთა ომებით

დაღლილს.

შეხედეთ ზეცას,

ღვთისმოსავთა ამდენი ლოცვით –

გალურჯებულა ქართლის ცის თადი.

1969



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
*** ამოუღამდა თვალები ლოდინს.....	25
*** სიჩუმეს მძევლად დავუტოვე ოდა	26
კოლხეთი	27
*** დამის ჭიშკართან	28
*** სიცოცხლის მწვანე ბილიკს მივყვები...29	
1941 წელი	30
*** დამეა. ისევ ზღვასთან გახსენე	31
ისტორია	32
რეხის ციხესთან	33
სამშობლოს მთები	34
*** ფიქრები დამით უფრო ღრმავდება	35
ჩემი რწმენა	36
სულთათანათი	37
*** შენი სინათლის დგება უკუნი	38
*** მზემ ჩაიმუხლა...	39
მივიწყებული საყდარი	40
შენი დუმილი	41
*** მთები ქარიშხლის	42
გლოვის მეუფე	43
*** იდუმალების შორეული	44

*** მოთმინების ცივ ურემზე შებმულს	45
ლექსის კაცი	46
*** სიმყუდროვეში სძინავთ უფსერულებს ...	47
*** ქარებს გადმოაქვთ წარსულიდან.....	48
*** სადღაც უჩემოდ მიდის შენი გზა.....	49
სსოვნის სანთლებით	50
*** ვეღარ დავდაშქრე ჩემი დღეები	51
ვითარც სინათლე	52
ენმერქარი	53
დღიდან გაჩენის	54
*** “ჩემს სულს აწვიმს”... და	55
ორი არაგვი	56
შაშვის სიკვდილი	57
შუამთაში	58
სემირამიდა	59
მონღოლები	60
*** ჩალისფერი დროშა – გორგას-ლიანი....	61
დამე	62
ჩემი წითელი საპერანგეა	63
სიჩუმე	64
*** ზღვის ტაძარში, საღამოს თუ დილით	65
*** ქართული სიტყვის ათასწლოვან.....	66

საათი	67
*** ავაზასავით კლდეთა ქიმზე	68
ღაურ	69
ზღვები	70
ჩემი გალობა	71
ხეროვისის ციხე	72
*** ბრძოლით დაღლილი და დაქანცული	73
*** თვლემამორეულ ნაკადულთან	74
ნაქალაქარი	75
დგას გორგასალი	76
*** ტალღებს გრიგალში უნდათ გაფრენა	77
მამულო	78
*** მენარგისება ცა	79
პაპა	80
*** მარადისობის გარდუვალობა	81
ზღაპრული ქვეყანა ყოფილა კოლხეთი	82
*** თუმცა ბევრჯერ შარი-შურით	83
*** შენ ხარ ხელმწიფე	84
*** სიმუდროვეში კივილზე ელვის	85
*** თუმც მიინავლნენ საუკუნენი	86
*** ოცდათი მიიღია	87
*** მოვა მწუხარი და მნათოა ნაყოფით	88

ეგრისელი	89
მე დავეძებ საქართველოს	90
*** მიღმიერიდან მოულოდნელად	91
*** ლოცვად ადანთებს მთებს ისევ.....	92
*** დამის სარკეში მოკამკამენი	93
*** უბრალოდ და უმიზეზოდ.....	94
*** ჩვენსკენ კისერმოლრეცილი.....	95
*** სადღაც, იდუმალ სიმყუდროვეში.....	96
ჰელოსპონტი	97
*** მიმწუხერისას ვარსკვლავები	98
*** მოულოდნელად ახლა რომ	99
*** სიმყუდროვეში მირიადი მნათო	100
*** სული ედგათ ციური	101
ტალღები	102
*** დღეებს	103
ნათელს გალობენ	104
*** საწუთოს გზაზე საუგუნენი	105
ჩემი ღრუბლები	106
ხუროთმოძღვარი	107
ადმოსავლეთით	108
*** ზღვისკარად ლოცვად დგანან პალმები	109
ჩემს აიგანთან	110

*** საღამოვდება...	111
ყოველ საღამოს	112
გიოვალოვალებენ	113
ვით აქილევსის ვეება ფარი	114
ირხევა ფიქრი	115
მოვლენ მერცხლები	116
რწმენის ცა	117
ქარი	118
*** აპა, ოცნება	119
გარსკვლავებს კვერავს	120
სანტიებს და სკვითინებს	121
*** ჯვარცმის შიში	122
ქასქებსა და ქალდეველებს	123
*** ზღაპრიდან თუ მითიდან	124
არც აკე ჩანს, არც ან მარე	125
ხუთშაბათი	126
*** ზღვით და ხმელეთით კოლხები	127
ვით ასტროლოგი	128
ოდი	129
*** დრუბლები	130
ისტორიის პეგასი	131
ფუთი	132
*** გაზაფხული მიიღია	133

იქედნები	134
*** ელიამ კვლავ მეხი სტყორცნა	135
*** ოცდაცამეტი საუკუნეა.....	136
ვით ქონდაქარი	137
ლინოსი და კადმოსი	138
*** სიმყუდროვეში ჩამავალ მზეს	139
*** პელიოსის გაკვესილი.....	140
*** უულურჯესი და უუანკარესი.....	141
*** ცით ჩამოსული ნისლის ფთილები.....	142
მთვარე ჩაცქერის წყალს ნარცისივით	143
*** ღროის ქვაბში ჩარჩენილ	144
ჩემი წინაპარი კოლხი	145
მოვა დრო...	146
*** ზღვით და ოკეანით დიან	147
დიდი პოეტი	148
*** ჩალურჯებოდათ ზვირთებს თვალები...149	
ლემნოსი	150
*** ამ ცისქვეშეთში	151
სოფელში	152
გადაფრენა	153
*** არც ოქრო	154
*** ტოტიდან ტოტზე ჩამოხტის წვიმა	155
*** გმირთა სამეფო და საბრძანისი	156

*** ცის პაპირუსზე მთელი დამე	157
*** ჩემმა გამჩენმა	158
*** ჩემს ქართულ სიტყვას გაელვარებ ხელში	159
ბაგშვილის მოგონება	160
VIII საუკუნე	161
მედეას ოხვრა	162
*** მე უნდა მოგვადე... რადგანაც	163
ვარსკვლავიანი დამე	164
ხეროვისის ციხე	165
მზე და მზესუმზირა	166
მეწვის დღეები	167
*** აახმაურა ტყის სიმშვიდე	168
*** გაშმაგდება და აღვირს გაწყვეტს	169
ჩვენი სიცოცხლე	170
*** ცაზე ბრწყინავდა შარავანდედი	171
*** ციხეთა ჩრდილში	172
სასაფლაო	173
*** შეუსვენებლივ	174
*** ზღვის მიძინებულ მკერდს რომ შეახებს	175
ვითარც ფსალმუნს	176
*** ზღვის მდვინვარე ქარიშხელებთან	177

*** ცა მკერდზე მეხს იბრაგუნებს	178
აქაც, იქაც	179
*** სად კავკასიის დიდი ქედია	180
*** ჩამაგალ მზის მეწამული	181
*** ალბათ წინაპრისა არის	182
*** მიმწუხრისას სოფლის ბოლოს	183
*** ვით გადამფრენი გუნდი წეროთა.....	184
*** ცა	185
*** ღრუბლის ლოდს გვერდზე გადასწევს..	186
სიჩუმე და სიმყუდროვე	187
*** ტანთ აცვია ცეცხლის კაბა	188
*** შორიდან თვალებს მიბრიალებს	189
*** ღრო	190
ღღე	191
სონეტს, ტერცინას, ტრიოლეტს	192
ტალღა	193
*** კოდალამ “მორზეს” ანბანით	194
*** სიცოცხლეს არ ვეძრახვი	195
*** ქარს ქალთებით მიაქვს ფიფქი.....	196
*** როგორც მხედრები	197
*** სულ მანჯღრევს და მაღვიძებს	198
ქრისტეს მხედარი	199
ბუნება.....	200

*** გაიიალონებს იმედივით.....	201
*** პონტოს პირას მონანავე	202
XIX საუკუნე	203
*** ქუხილისგან დამფრთხალი	204
*** თოლიები კი ნაპირს ელტვიან.....	205
*** რა ეგულებათ იქ	206
როგორ მიყვარდი	207
ისევ თუთარჩელა	208
ო, სულო ჩემო	209
მწუხერი	210
თიბათვე	211
გათენება	212
მზე პირს იბანს	213
მისისიპი მისურით	214
მთვარე	215
*** ალვის ტოტზე დაკიდულ მთვარეს	216
*** ზღვა ცოფებს ყრის და...	217
*** ერთი ღრუბელი, ვით შავი კატა.....	218
*** არყოფნა არის მარადიული.....	219
*** დღე დამის კალთას თავზე გვაფარებს..	220
სამთავისი	221
ეგრისის ციხე	222
ალბატროსი	223

ზაფხულის ღამე	224
ორი გაკვეთილი	225
მეგრული “ნანა”	226
ჩვენი ეზო	227
ის იყო ღმერთი	228
ვერ დაუძვრები	229
ელია	230
მე ვარსპელავებში დავიდე ბინა	231
ეს არის უდაბნო	232
*** როდესაც ნახეს მინდორ-ველებმა	233
*** დღისა და დამის სუნთქვას ვისმენდი	234
ღამის ფანტომი	235
შავი ღრუბლები	236
*** ფეხდაფეხ დაგვდევს არყოფნის შიში	237
ოქროს საწმისი	238
ხილვა	239
ამდენი ლოცვით	240

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 60

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 60

- | | |
|---------------------|------------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ნინო რჩხვიაშვილი |
| მხატვარი | – სპარსაძე ციცელაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – გულნარა შელია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყადეაშვილეანი |
| გამომცემელი | – ზურაბ დოლგაია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com